

ნანა თდიშარია:
**ქვეყნის დაგაქვავალო
 ნახიონალაბო, შაეოგაკვდაბით
 და ამ აგბავს სთქვენოდ არ
 დაგაბთავრაბინებთ!** **2**



**3 ბოზბაუი
 და ჩინირთმა,
 ანუ ლეპანი
 თუ ირაკლი?**



19

**ჰავლაბრიდან
 ჰააბის
 ტრიბუნალაგდა,
 ანუ მტარს მოსვდა
 ტალიაჰინის მუსლი**

საზოგადოებრივ-ჰორიციკური გამოსცემა 15 — 21 ივლისი, 2009 №21

საქართველო

& მსოფლიო www.geworld.net

გამოცემის მთხმბათობით ფასი | ღარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

...ქარაზანი მიღის!

2

ახალ ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, ცხინვალში ჩასვლით მედვედევემა ასეთი „მესიჯი“ გაუგზავნა, პირველ რიგში, ამერიკელ კოლეგას და საქართველოს ხელისუფლებას: თქვენს პათოსსა და რიტორიკას იგივე ფასი აქვს, რაც — დაძრული ქარაზანისთვის ძაღლის ყეფას, ამდენად, მაინცდამაინც, თავს ნუ მოიტყუებთ, რაც დროზე აღიარებთ ახალ რეალობას, მით უკეთესი იქნება ყველასთვის.

ტარკადაბორაბულები, ანუ სხვის ჩასარაბს ორბოში ჩაბარღნილები **4**

შაჩაბი **9**

**ოჯახისა და ქვეყნის მოლაბა,
 აბკუვენებული მეღაა ხელისუფლებამ
 საქართველოს სახე-სიბოლოდ აქხია**

16-17

**მიუბ და სომხები,
 ანუ ვისი პრაზიდანტი
 სააკაშვილი?** **6**

**მიუბ და ბავუბები,
 ანუ არაბობარი სასალონო
 შაეღბარი ბიღი** **7**

**ბანათლების საშინისტრობ გოგაბაბუილის
 „ღადა ენას“ ხხრა ლახვარი ჩასხა** **8**

არნთ ხიდირბეგიშვილი:
**ზაეოთ — ლარსი, ქვეოთ — ყარსი
 და მიუბას მორიბი ფარსი...** **10**

**გოქასა შიგან რასა ღბას,
 იბივა იღბა კოტაბუიხ** **14**

...ქარაზანი მიღის

13 ივლისს რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი ხანმოკლე სამუშაო ვიზიტით ცხინვალში ჩავიდა. შეხვედა კოკოთს. „საუბრის დროს განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს აღდგენის ერთობლივი პროექტების რეალიზაციის საკითხები. ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტიული განვითარების შესახებ საუბრისას დ. მედვედევმა ხაზი გაუსვა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობას“, — იტყობინება ოფიციალური პრესა.

რალაც რომ შეიცვალა გლობალური გეოპოლიტიკური სივრცეში აგვისტოს ომის შემდეგ, ფაქტია. აქედან გამომდინარე, ექსპერტები ასკვნის, რომ ეს ომი იმდენად შედეგი კი არ იყო, რამდენადაც — სერიოზული ბიძგი ახალი რეალობის ჩამოსაყალიბებლად.

მედვედევის ცხინვალში ჩამოსვლაც შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ რეალობის დამადასტურებელი ფაქტი.

ასეა და გინდა, იძახე, რომ ეს იყო ქურდული შემოპარვა, საქართველოს საზღვრის უკანონო დარღვევა, ამორალური საქციელი და „ამორალური ოლაქა ნებისმიერი რუსი ლიდერისთვის დღესაც და ა.შ., ქარაზანი დაძრულია და მიდის“.

მიდის ქარაზანი, შეძახილენ ბის მიუხედავად. და ეს მოჰყვება ჩვენს დამარ-

ცხებას აგვისტოს ომში, რომელშიც, როგორც სახრწობელას ყულფში, თავი გავეყავით. უცნაური ომი? შეცდომა თუ დაგეგმილი პოლიტიკური პერსპექტივის ერთ-ერთი დეცალი? ომი როგორც ძალაუფლების ტექნოლოგიის შემადგენელი ნაწილი თუ რომელიღაც გლობალური პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტის საშუალება?

პოლიტოლოგები და სპეცები ახლა ამ კითხვებზე ცდილობენ პასუხის გაცემას.

რეალური პოლიტიკოსები კი მოქმედებენ: ობამა მოსკოვში ჩადის, მედვედევი — ცხინვალში, როგორც თავის დროზე პუტინი გროზნოში ჩავიდა და ამით განაცხადა — ჩეჩნეთს რუსეთი არ დათმობდა!

მედვედევა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩასვლით იმავეს დეკლარირება მოახდინა, კოლ-

ონდ, ცხადია, ცხინვალთან დაკავშირებით.

აბა, თბილისში ხომ არ ჩამოვიდოდა...

თუმცა, მისი განცხადების ტექსტს თუ ყურადღებით წავიკითხავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი რამ შეიძლება მართლაც მოხდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახლანდელ ხელისუფლებას შეეცვლისო ქართველი ხალხი. გაურკვეველი პერსპექტივა.

სამაგიეროდ, სავსებით გარკვეულია, რომ რუსული ჩეჩმა, როგორც საერთოდ ჩეჩმა, ძალის დემონსტრირების ინსტრუმენტია.

მაგრამ რუსული ჩეჩმა სტუმართმოყვარეობის სიმბოლოც რომ ყოფილა, ეს ერთხელ კიდევ გამოჩნდა ნოვო ოგარეოვში ბარაკ ობამას პუტინთან სტუმრობის დროს: მაღალი სტუმრის პატივისცემად ტრადიციული წესით ჩაის რომ ამზადებდნენ, ჩეჩმით უბერავდნენ სამოვარს.

ან, ეგებ, ამ ჩეჩმის საყოველთაოდ სახილველად გამოტანით ამერიკის ლიდერს გაახსენეს, ნიკიტა ხრუშჩოვი (ლმერთო, მაპატიე!) ფეხსაცემელს რომ უბრაზუნებდა გაეროს ტრიბუნას და უთარგმ-

ნელი „*Кухинна мать*“-ის ჩეჩნებით ემუქრებოდა — დედას გიტყვებო, იმპერიალისტი-ბოო.

„ედრენა მატ, გიტლერ!“ დიპლომატიურ ურთიერთობებში პატარა დეტალს დიდი და სიმბოლური მნიშვნელობა რომ აქვს, ცნობილია.

აქედან გამომდინარე, ჩეჩმის ქვეტექსტი არც ისეთი უადგილო და ყურით მოთრეული ჩანს.

კი ილაპარაკა პრეზიდენტმა ობამამ მედვედევთან შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, მაგრამ მედვედევს არაფერი უპასუხია, რამაც ფრიად გააოცა ექსპერტები.

შეეშინდა და ვერ გაბედაო, — თქვეს და იმეორებენ ჩვენთან.

ახლა „გაბედა“ და მისი ეს ვითაჟი ცხინვალში გაცივებით ძლიერი პასუხი გამოდგა, ვიდრე დისკუსიის დაწყება აშშ პრეზიდენტთან საქართველოს თემის გარშემო.

თავი გამოაშკარავაო.

რალა გამოაშკარავება სჭირდებოდა რუსეთის პოლიტიკას მას შემდეგ, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწი-



ფოვად ცნო და აღიარა.

სხვათაშორის, ჩრდილოეთ კორეაში შეერთებული შტატების საკვანძო ფიგურების ჩასვლა არავის არასოდეს გაჰყვირებია. არც — ერაყში. არც — ავღანეთში.

ცხინვალში ჩასულ მედვედევს ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა მარკოვმა მოახსენა სამხედრო ბაზაზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც სრულად შეესაბამება მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

დიდ დაფიქრებას არ საჭიროებს ამ ამოცანების გაშეფრა.

იმდენი იძახა ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ რუსეთი თავს არ დაგვესმებაო და ვაშინგტონმა მოსკოვს კისერი მო-

უგრიხაო, რომ, ახალ ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, ცხინვალში ჩასვლით მედვედევა ასეთი „მესიჯი“ გაუგზავნა, პირველ რიგში, ამერიკელ კოლეგას და საქართველოს ხელისუფლებას: თქვენს პათოსსა და რიტორიკას იგივე ფასი აქვს, რაც — დაძრული ქარაზანისთვის ძალის ყეფას, ამდენად, მაინცდამაინც, თავს ნუ მოიტყუებთ, რაც დროზე აღიარებთ ახალ რეალობას, მით უკეთესი იქნება ყველასთვისო.

...ქარაზანი მიდის. ვერ ვაჩერებთ ქარაზანის სვლას, მაგრამ ყეფა-წყმუტუნით ხომ ავიკელით დუნია, ობამამაც ხომ დაუჭირა მხარი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და რალა გვიჭირს!
ლაშა ბიორბიკა

ნანა ოდიშარია: **ქვეყნის დაგაჟსავლო ნასიონალუბო, შემოგაჟვლებით და ამ აჟბაჟს სთქვენოდ არ დაგაჟსავრებინებთ!**

მდიდართა, ამპარტავანთა, მკვლელთა, ღვთისმგობობთა და მრეშობთა აღვირახსნილობას ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში საზღვარი აღარ აქვს! არადა, ამბავი, რომელმაც ორი დღის წინათ საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია, ნუ დაგვაინწყვება, რომ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც პირველად საქართველოში თავისუფლებისინსტიტუტული ჭინკები თავიანთი პატარა რქებითა და ნორჩი ვარდისფერი ჩლიქებით მალაყებზე დამდგარნი გამოჩნდნენ! ეზო-ეზო, კარდაკარ, ხილულად თუ უხილავად ჯგრო-ჯგრო დაძროდნენ და ტრადიციული მეტატალობის ქართველობას ხან ქათქათა კბილებით ხიზლავდნენ, ხანაც კიდევ — ვერცხლის ჩხრიალით!

ვის მოუვიდა პირველად საქართველოში აზრად, მიცვალებულთათვის ბაჟი დაენესებინა? — ვის და, ალბათ, მათ, ვინც მიცვალებულებს ჯერ საარჩევნოდ „რაზმავდა“, ხოლო შემდგომ, ვითარცა ცოცხალთ, ისე განიკითხავდა: — გინდათ ჩვენთან, ყოველბულ საქართველოში ყოფნა? — მაშინ გადაიხადეთ. არ გადაიხდით და მაშინ ამოგთხრით, თქვენს ჭირსუფლებს საფლავებში ჩამოგიყრით ან დავაპატიმრებთ და გაჩენის დღეს ვანყველინებთ!

— არ გაბედაოთ ჩვენს საფლავებთან მოახლოება, ულმერთობებო, თორემ ჩემი შეილის სულს ვფიცავ, ჯერ თქვენ მოგკლავთ, მერ კი ჩემი ფეხით ნავალ პოლიციაში. დათო ბაქრაძე ვინ გდია, სასაფლაოზე წყლის მთავარი ონკანი რომ დაასვარებინა? ვინ გეკითხებათ, ჩვენს საფლავებს მარმარილოთი მოვაპირკეთებთ თუ ბაზალტის კვით? თქვენ უნდა გკითხოთ, რა მცენარე დაეფრევა ჩემს მიცვალებულს, იმის მიხედვით რომ გადაამახვივითო შემდეგ ფული?.. ბანდიტებო, კაციჭამიებო, უსინდისობებო და ნაშუსგარეცხილებო, რით ვერ გასკდა თქვენი მუცლები, ახლა მიცვალებულთა საფლავების ძარცვა-გლეჯა რომ და-

ინყეთ? — რისხვით სავსე ხმით მოთქვამდა ახალგაზრდა ქალი და ფირმა „თერმის“ წარმომადგენლისკენ იწეოდა, რომელიც ვერის სასაფლაოზე საგანგებოდ, ქალაქის მერისა და საკუთარი ფირმის დავალებით იყო ამოსული.

„დაწყნარდით, ქალბატონო, ალბათ, კარგად ვერ აგიხსენით, სინამდვილეში რას ვაპირებთ“, — გადადგა ორიოდ ნაბიჯი უკან ლურჯთვალები „ბიზნესმენმა“ და სხვა ჭირსუფალ ქალბატონებს ამოეფარა, ძუ ლომივით გააფთრებულ, ერთადერთი შეილის დამკარგავ ქალს თვალბერო მარამოეთხარა მისთვის!

ვერის სასაფლაოზე მისულს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ჩვენი ცოდვილი პლანეტის სირცხვილი მეკიდა ზურგზე! საბედნიეროდ, ჩემი დიდი ხნის მეგობარი ნანა ოდიშარია მალევე შევნიშნე შეკრებილ საზოგადოებაში და გკითხე: შეგიძლია, ინტერვიუ მომცე იმ ყველაფერზე, რაც აქ დღეს ხდება-თქო? რა თქმა უნდა, დამთანხმდა და გათავაზობთ ამ ინტერვიუს, ყოველგვარი „მოკრეჭის“ გარეშე:

ნანა ოდიშარია:
— მე და ჩემი ოჯახი ძირძველი ვერელები ვართ, ეს სასაფლაო 1986 წელს უკვე და-



„მინყალენ ჩვენ უფალო, მინყალენ ჩვენ, რამეთუ მრავლითა აღვივსენით ჩვენ შეურაცხებითა. უფროისად აღვივსო სული ჩვენი ყვედრებითა მდიდართაითა და შეურაცხებითა ამპარტავანთაითა“. დავით ნინასწარმეტყველი, გალობაი აღსავალთაი 122.

კეტილი იყო და აქ მიცვალებულთა დასაფლავება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუკი ჭირსუფალს თავისი უახლოესი მიცვალებულის გვერდით თავის ან ოჯახის სხვა წევრებისათვის „მოზომილი“ მინის ნაკვეთი წინასწარ ჰქონდა შენახული. ეს სასაფლაო 1991-92 წლებში მხედრონელებმა გახსნეს და აქ სასაფლავებდნენ თავიანთ გარდაცვლილ მეგობრებს. ძირითადად, ამ სასაფლაოზე ახალგაზრდები განისვენებენ. ხომ ხედავთ, მათი ასაკი 19-20-23-წელია. ყველა შინაური, ძალიან ახლოებულ ოჯახთა შვილები არიან და, თურმე, ახლა ახალი კანონებით, მე, ნანა ოდიშარია, უფლება აღარ მაქვს, მათ საფლავზე გიგი უგულავასა და ვილაც ვიგინდარების ნებართვის გარეშე ბლახნი მოველიჯო, ყვავილი დაავრგო, მოვრწყო და ჩვარი გადავუსვა მარმარილოს! თურმე, დამლაგებელ ქალებს ჭირისუფლები რომ 10 ლარს აძლევენ, კორუფციაა და ის, რომ „თერმის“ პრეისკურანტით, ერთი ძირი ვარდის მორწყვის საფასური 2 ლარი და 50 თეთრია, ის — არა! კარგი,

ვთქვით, მე სამი ძირი ვარდი მაქვს დარგული და, შესაბამისად, თვეში 7-8 ლარს ვადავიხდი, მაგრამ ის რა უბედურებაა, ჯერ კიდევ ცარიელი, შეილის გვერდით მოზომილი მინის საფასურიც რომ უნდათ, გადაახდევინონ ჭირისუფლებს? იცით, რა თქვა ვერის სასაფლაოს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა? — არ გადაიხდით და ჩამოგაჭირით!

— რა თანხა დასახელდა „ჩამოსაჭრელი“ სასაფლაოების საფასურად?

— 500 ლარი, წარმოგადგენიათ? ვთქვით, ვერ გადაიხდის ოჯახი და მართლაც „ჩამოიჭრება“, ესენი ხომ ამ ადგილს შემდეგ 5-6 ათას დოლარად გაყიდა. ეს კორუფცია არ არის? თუ ოჯახს შეილი აქ ჰყავს დასაფლავებული, დედამას კი მის გვერდით უნდა სამუდამო სასუფელების დამკრებება, 1000 ლარი უნდა გადაიხადოს, თუ არადა, როგორც ადმინისტრაცია აცხადებს, ამის უფლება „კანონით“ აღარ ექნება! აი, მე მინდა, რომ ყოველგვარი შელამაზების გარეშე დანეროთ: არ გაგივით, ამ ქვეყნის დამაქცევლო ნაციონალებო და ძმანო მათ-

საფლავს, უნდა ვიცოდეთ, ის გარდაცვლილის ოჯახის წევრია ნამდვილად, თუ — არა, გასაგებია?

— უკაცრავად, ახლა საჯარო რეესტრის ამონაწერი უნდა ვირბინოთ სასაფლაოზე, მართლა ჩვენი ოჯახის წევრი რომ ასაფლავია აქ? — მიუტრიალდა ჩემი რესპონდენტი ნანა ოდიშარია „თერმის“ წარმომადგენლებს, — იქნებ ისიც გვითხრათ, აღდგომის კვერცხის გაგორების უფლება თუ გვაქვს ჩვენი მეგობრების საფლავებზე ან სანთლის დანთების და ქვის გადაწმენდის?

მოკლედ, აბოპოქრებული ჭირისუფლები თაკარა მზის გულზე კიდევ დიდხანს ბჭობდნენ ცოცხალთა და მიცვალებულთა უფლებებზე, მაგრამ — ამაოდ. სასაფლაოს ადმინისტრაცია „შემუშავებულ და დამტკიცებულ პრეისკურანტს“ გრომ-კაპიქს არ აკლებდა და გაიძახდა: ვარდის ბუჩქი — 2,50 ლარი; ბზის ბუჩქი — 3 ლარი; ნაძვი, სოჭი ან სხვა ჯიშის ხე — 10 ლარი; მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული საფლავის მოკლა — 10 ლარი; ბაზალტის ქვით მოპირკეთებული — 13 ლარი და ა.შ.

აღმამოთებელია, არა, მკითხველო, ეს ყველაფერი? მაგრამ ნუ დაგვაინწყვება, რომ: მთელ საქართველოს პირველად მაშინ გავგანეს სილა, როცა აღმამშენების საფლავზე ფარისეველის თვალთმაქცობას ტაში დავეუკარით, როცა მეფე დავითი შუაგულ თბილისიდან გავაძვევთ და ნუ გვიკვირს, კიდევ მეათასედ რომ გვაფურთხებენ სულშიც და საფლავშიც!

ირინა ბოროსაჟილი

ბოზბაში და ჩიხვირაში, ანუ ლევიანი თუ ირაკლი?

ლევან გაჩეჩილაძემ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“ დააფუძნა, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ. თავის მხრივ, გაფართოება-გამსხვილებაზე ზრუნვა დაიწყო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ალიანსი საქართველოსთვის“, რომლის ერთპიროვნულ ლიდერად და საარჩევნო სიის პირველ ნომრად ირაკლი ალასანიას სახელდება. არასაპარლამენტო ოპოზიციის ტიპის კონკრეტული ლიდერების, ამ შემთხვევაში ლევან გაჩეჩილაძისა და ირაკლი ალასანიას, ირგვლივ გაერთიანდნენ.



ლევან გაჩეჩილაძე და ირაკლი ალასანია

საზოგადოებაში მუდმივად ისმის კითხვა — ირაკლი თუ ლევანი? ეს ფრაზა ილია ჭავჭავაძის „კაცია ალახანი?!“ — ს მივყავართ. ლევანის — ლუარსაბისა და დარეჯანის ყოველდღიურ საზრუნავს მახსენებ:

— ჩიხვირაში, ალახანი!
— ბოზბაში, დედაკაცი!
...და სევდანარევი იუმორის გუნებაზე მაყენებს, რადგან, როცა ვცდილობდი, გამერკვირა, რატომ ლევანი ან რატომ ირაკლი, პასუხი ვერ მივიღე, გარდა იმისა, რომ ერთი ემოციური და მეორე დინჯი პოლიტიკოსია, თუმცა ამ ორ პიროვნებას ყურადღება არც ხელისუფალთა მხრიდან აკლია. ისინი მმართველი გუნდის კრიტიკის ქარცეცხლში განსაკუთრებით მას შემდეგ მოხვდნენ, რაც ლევან გაჩეჩილაძე და დავით გამყრელიძე თან ყოფილ მინისტრს კახა თარგამაძეს შეხვდნენ ბერლინში. არაერთხელ მცდელობის მიუხედავად, ხელი-სუფლებამ ჯერ კიდევ ვერ დაადგინა, რეალურად რაზე საუბრობდნენ ეს ალახანები, მაგრამ ამ ფაქტმა გაახსენა, რომ ირაკლი ალასანია კახა თარგამაძის დროს ძალიან სტრუქტურულ ნარმოადგენდა. 2001 წელს კი, როცა სამაჟორული კომპანია „რუსთავი 2“-ში მს სამინისტროსა და უმინისტროების თანამშრომლები შევიდნენ, იმ დროს ალასანია უმინისტროების საბჭოში უმინისტროების კურატორად მუშაობდა. ხელისუფლებას მის წარსულზე ცოტა ადრე უნდა ეფიქრა მანამ, სანამ მას მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშნავდა.

რა ღირსებების გამო გახდნენ გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერები? დღემდე არც ერთ მათგანს საზოგადოებისთვის პოლიტიკური პროგრამა არ წარუდგენია, პროგრამულად არ ჩამოყალიბებია, თუ როგორ ესახება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, როგორ აპირებს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებას. მათზე მხოლოდ პიროვნული ღირსებების მიხედვით მსჯელობენ და სვამენ კითხვას — ირაკლი თუ ლევანი?

ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი მიიჩნევს, რომ ქართველი ერი კერძოთაყვანისმცემლობისგან ჯერაც ვერ გათავისუფლებულა და ამიტომ აკეთებს აქცენტს არა პარტიების პროგრამაზე, არამედ კონკრეტულ ლიდერებზე. „ქართული საზოგადოება არის ძალიან დაბალი, ბარბაროსთა დონეზე, მაღალი პოლიტიკური ღირებულებების დეფიციტს განიცდის, პოლიტიკაში გააქტიურებულ ადამიანებს, სისტემურ ხედვას კი არ სთხოვს, არამედ მუდმივად ითხოვს და ირჩევს ბელადებს, რაც მონური საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

მნიშვნელობა არ აქვს, „მიშა, მიშა“ დაიძახებენ, თუ „ლევან, ლევანს“. ბელადების უმრავლესობა გონება-შეზღუდული, ტირანი, არასრულფასოვანი და უინტელექტო ადამიანები იყვნენ. ამ პიროვნებებს ასეთ შეურაცხყოფას ვერ შეეკადრებ, მაგრამ, რასაც ისინი პოლიტიკას უწოდებენ, იმ საქმეში მათი მარტივი ქმედების კოეფიციენტი ნულია. თანმიმდევრულად ვერ აზროვნებენ და კვირაში ერთხელ ცვლიან ლოზუნებს. გავიხსენოთ 26 მაისი, ლამის სისხლისღვრამდე მიიყვანეს ხალხი“ — აცხადებს სვიმონ მასხარაშვილი.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს — ლევან ვეფხვაძეს ტრაგედია არ მიაჩნია ის ფაქტი, რომ პარტიები კონკრეტული ლიდერების გარშემო ერთიანდებიან: „დღევანდელი ამომრჩეველი ლიდერზე ორიენტირებულია, სოციალისტური კვლევების თუ ნახავთ, გამოკითხულთა 60 პროცენტი ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ ლიდერს, ხოლო 20-25 პროცენტი — პროგრამას და იდეოლოგიას. ეს ქართული ფენომენი არ გახლავთ, სამხრეთული ტიპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და, შესაბამისად, ამით არც ჩვენ ვართ გამოჩეულები“. ლევან ვეფხვაძისათვის ამ ეტაპზე ირაკლი ალასანია უფრო გამოკვეთილი

ლი ფიგურაა, როგორც განონანსორებული და დინჯი პოლიტიკოსი, ვიდრე ემოციური ლევან გაჩეჩილაძე. „გრეჩისა“ თავისი ხასიათით ერთგვარად მიმა სააკაშვილთან ასოცირდება. მიშას ემოციებმა რა დღეშიც ჩააგდო ქვეყანა, ყველამ კარგად იცის და, შესაბამისად, ხალხი არჩევანს გაცილებით კონსტრუქციული ლიდერის სასარგებლოდ გააკეთებს. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, არც წინა საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილა გამორჩეული ლიდერი, რადგან მან ანტისაკაშვილისეული ხმები მიიღო.

„საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული ხმების იდეალური წილია 26 პროცენტი. სწორი არაა, იმიტომ, რომ ის იყო ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი და ის აპირებდა, რომ სხვა ლიდერი ყოფილიყო, ისიც მიიღო.“

ლევან ვეფხვაძის აზრით, გაჩეჩილაძის რეიტინგმა განსაკუთრებით 26 მაისის შემდეგ იკლო, რომლის ბოლო წვეთი პრეზიდენტთან შეხვედრა იყო. „ჩვენთან არის საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ, თუ ხელისუფლებას ხელს ჩამოართმევ და დაელაპარაკები, მოსყიდული ხარ. ეს ძალიან ცუდი სტერეოტიპია, რომელიც თავის დროზე მიშამ შექმნა. სააკაშვილისა და გაჩეჩილაძის შეხვედრის შემდეგ უნდა გენახათ, რა ხდებოდა „მაისტროზე“, მორბენალ სტრი-

ქონში როგორი მესიჯები გადმოდა.

მოსახლეობის დიდი ნაწილი დღესაც ფიქრობს, რომ გაჩეჩილაძე სააკაშვილს უფრო გამოართვა მიტინგებისა და კარკავის დასაშუალებად.“

გაჩეჩილაძის რეიტინგის ვარდნის მიზეზად ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი ამ უკანასკნელის კახა თარგამაძესთან შეხვედრას ასახელებს: „თარგამაძესთან შეხვედრით ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკური კარიერა მინიმუმ 10 წლით დასრულდა.“ ლევან გაჩეჩილაძის და ირაკლი ალასანიას, როგორც

პოლიტიკური ლიდერების, შეფასება უჭირს კონსერვატორ კახა კუკავას, რადგან თვლის, რომ მათ ამ ეტაპზე შედეგიანი არაფერი გაუკეთებიათ. ჯერჯერობით არც ერთ მათგანს გადაუდგამს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც შედეგიანი იქნებოდა და შეფასების საშუალებას მოგვცემდა. ამას გარდა, არჩევნებამდე იმდენი პოლიტიკური პროცესი იქნება და ისეთი დინამიკა, რომ რომელიმე მათგანის შესწავლა საუბარი რთულია. მე ბოლო ორი წლის მანძილზე მახსოვს არა ერთი ლიდერი, რომელსაც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა პოლიტიკურ პროცესებზე, მაგრამ კონკრეტულ მომენტში ჩაიკარგა.“

ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკური პროცესების „მსხვერპლი“ რომ არ გახდეს, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოსთვის“ დააფუძნა. რაც, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს, პრაგმატული პოლიტიკური მიზნების განსაზღვრას და, მეორე მხრივ, მშვიდად მიიღოს უწინასწარი მხარდაჭერა თუნდაც პრაზიციული ტინგებისა.

თუმცა რა იქნება მომავალი არჩევნებისთვის და კვლავ იდგება თუ არა დღის წესრიგში კითხვა — ირაკლი თუ ლევანი? — ძნელი სათქმელია, რადგან მათი არაპროგნოზირება და არათანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით, ასევე, ხელისუფლების მცდელობით, მათ წინააღმდეგ საკმაოდ კომპრომიტები გამოამზეუროს, არაა გამორიცხული, ქართულ პოლიტიკურ პალიტრაზე სულ სხვა ლიდერები ვიხილოთ.

ნათია კვიციანი

...И от имени Рамаза Чхиквадзе

ღრმა დეპრესიაში ყოფილან რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეები... რაღა გამოიყვანათ! არ გაუმართლათ ჩხიკვაძეებს და საქართველოს სხვა „ნატაშებს“ — იმედები გაუტყრათ „მალაშა და ლამაზმა“! იცინა თვითონ, ვისაც ვგულისხმობ. 2003-ში, როცა საქართველომ ბუნების ხილზე გაიარა, ნატაშა ჩხიკვაძე ოპერის სცენაზე შედგა და ჩვეული მანერით შეუერთდა „დემოკრატიულ პროტესტს“ „...И от имени Рамаза Чхиквадзе“.



ან კომუნალურ გადასახადებს, საზრუნავი და სადარდელებია საქმლის ფული და ლაპარაკი კი ზედმეტია ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, რადგან ძალიან ძვირი სიაში შედგება ის, რომ ცოცხალი დარჩე“.

მაცნე, რას აპროტესტებდნენ? — მათი ერთადერთი საშუალო კონსულად არ დანიშნა საშინდელმა პრეზიდენტმა, ნატაშა კი უარის თქმას ორგანულად ვერ იტანს. მისთვის დაუძლეველი ბარიერი არ არსებობს, მაგრამ მაშინ ჩხიკვაძეები საკონსულ საერთოდ არ იყო გახსნილი... მოკლედ, არ გაუმართლათ და ახლა მიდიან... სად? ევროპის მოქალაქეები გახდნენ და ევროპული პასპორტები აიღეს. ისრაელის მოქალაქეობასაც მიიღებენ და უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით... ჩხიკვაძე იყიდია ლამაზ ბინას. იქ ალექსანდრე ჩხიკვაძე ცხოვრობს — ნატაშას ვაჟი, რომელსაც „აქვს ბიზნესი, დაახლოებული მდიდარ და გავლენიან პირებთან და მზად არის, დაეხმაროს საქართველოს“.

„მალაშა და ლამაზმა“ „ჯიბის ნურბელა“ უნდა და დედობრივმა ინსტინქტმა განსაჯდეს მყოფი საშუალო-რაჯიო მაგიადუნე ნამოანვინა. ამასობაში ვითარება ჩაცხრა და ახლა საშუადაახლოებულია მდიდარ პირებთან“. რა-ლა უჭირს... ახლა მით უფრო არ გაუჭირდება — ნატაშაც მასთან ახლოს იქნება.

აბა, რა გინდა ასეთ ქვეყანაში? არ ჯობია, ნახვიდე კარლოვი ვარში, „სადაც დასასვენებლად ჩამოდიან შეძლებული ადამიანები მთელი მსოფლიოდან“, პატარა მოედანზე ამოიწყო ერთი ფაცხა, მონიო სიგარეტი, დალიო ყავა და „დააბირჟა“ შენსაირებთან ერთად „ნატაშას ბირჟაზე“!

მაცნე, რას აპროტესტებდნენ? — მათი ერთადერთი საშუალო კონსულად არ დანიშნა საშინდელმა პრეზიდენტმა, ნატაშა კი უარის თქმას ორგანულად ვერ იტანს. მისთვის დაუძლეველი ბარიერი არ არსებობს, მაგრამ მაშინ ჩხიკვაძეები საკონსულ საერთოდ არ იყო გახსნილი... მოკლედ, არ გაუმართლათ და ახლა მიდიან... სად? ევროპის მოქალაქეები გახდნენ და ევროპული პასპორტები აიღეს. ისრაელის მოქალაქეობასაც მიიღებენ და უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით... ჩხიკვაძე იყიდია ლამაზ ბინას. იქ ალექსანდრე ჩხიკვაძე ცხოვრობს — ნატაშას ვაჟი, რომელსაც „აქვს ბიზნესი, დაახლოებული მდიდარ და გავლენიან პირებთან და მზად არის, დაეხმაროს საქართველოს“.

თურმე, ნატაშა და რამაზი ძალიან შეუხებულნი არიან იმ მდგომარეობით, რომელსაც „ჩვენ ახლა ვხედავთ... იმიტომ, რომ, რაც დღეს საქართველოში ხდება, ის არ არის ნორმალური სიტუაცია... მე იძულებული ვავხდები, გამეყიდა ბინა... დღეს რა მომავალი აქვს საქართველოს, მე უკვე არ ვიცი“.

ეს ციტატები რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეების ერთ-ერთი ინტერვიუდანაა, თუმცა გენიალური მსახიობი ამ ინტერვიუში დროს გადასვლას ვერცხვინის დასტურად ცალფეხზე ხტუნაობდა და ორიოდ შეკითხვას უპასუხა. როგორც ყოველთვის, ააჯერადაც ნატაშა ლაპარაკობდა „...И от имени Рамаза Чхиквадзе!“

გვახსოვს, როგორ „დაეხმარა საქართველოს“ ნატაშას საშუალო ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა მადლიერმა „ქართული პარლამენტარების მამა“. მერე, ერთ დღესაც

სანამ მომავალი ჰქონდა ამ ქვეყანას, ნატაშა და რამაზი ჩხიკვაძეები თავს მშვენივრად გრძობდნენ, ახლა კი ქვეყანას გაუჭირდა და იქ მიდიან, სადაც თავს კომფორტულად იგრძობენ... „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“?.. კარგი რა, შეხედეთ სამყაროს ნატაშას თვალებით და არ მოგაკლდებათ კარლოვი

ახლახან, მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ დაფუძნებისას, ნინელი ჭანკვეტაძემ განაცხადა: „სამწუხაროდ, ყველას სჭირდება საზოგადოების ცნობილი სახეები ხელისუფლებაში მოსასვლელად, რის შემდეგ ამ საზოგადოებას ყურს არავინ უვდება. ჩვენ ეს აღარ უნდა დაეშვათ მომავალში“. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა „საზოგადოების ცნობილი სახეების“ გამოყენებას კიდევ ერთხელ ცდილობენ პოლიტიკოსები და გამოიჩინებენ არაა, რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ნინელიც ნატაშას გზას დაადგეს — ისიც ჩავარდეს დეპრესიაში. თუმცა, საეჭვოა, მას ნატაშას გაქანება აღმოაჩნდეს და სადმე, კარლოვი ვარის რომელიღაც პატარა მოედანზე, „ნინელის ბირჟაზე“ გაჩნდეს.

ბონდო მინარაშვილი

საიზაო ორდანი...

საკნებს იღებენ. რუსთაველის პროსპექტს საკნების გარეშე გამოაზაფხულებენ. შეიძლება, ზღვაზეც „დაასვენონ“... მხოლოდ ერთი საკანი დაგვრჩება. ისიც მე-5 ნომრით. საკნების აღების ოპოზიციური გადაწყვეტილება სალომე ზურაბიშვილის პირით გაცხადდა.

სხვებს ისევ წყალი აქვთ ჩაგუბებული. პირში. ოლონდ, ჯერ ბაიდენს დავასვენებთ საკნების ქალაქში და მერეო...

დღეს დაჩის, მერაბს და სხვებს უშვებენ პოლიციის მთავარი სამმართველოს ჯურ-ღმულებიდან. ალბათ, ცოტა ხნით... თორემ სახლში დამჯდარი დაჩი ცაგურია ვერ წარმომიდგენია. ახალი კანონით კი, მსგავსი ქმედებებისთვის 30-დღიანი პატიმრობა 90-დღიანით იცვლება. და ასე... მალე მთელი საქართველო საკნებში ვისხდებით.

ობამასთან შეხვედრის შემდეგ მედვედევი ცხინვალში ჩავიდა. კოკოითს შეხვდა. სააკაშვილი ამაზე გაცხარდა და — „დაუბანელ, კაცისკვლელ და კრიმინალ კოკოითთან შეხვედრით საშვილიშვილოდ მოიჭრა მედვედევა თავიო“, — განაცხადა... ჯო ბაიდენი რომ ჩამოდის და სააკაშვილს ხვდება, აღარ არის დანაშაული? ამაზე ოპოზიციის დღეს. არადა, კაცისკვლელი და კრიმინალი ხელისუფლება შეარქვეს სააკაშვილის რეჟიმს საზოგადოებისა და ოპოზიციის ნათელმა სახეებმა.

რას ვიზამთ... ზოგს მიმა მოსწონს, ზოგს...

სხვათაშორის, უახლოეს მომავალში „ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი“ წესდება. აბა, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენები ყველას დაურიგეს „ნაც-შპანში“ და... მეტიც: ზოგმა მარაო გაშალა, ზოგმა ბილეთი შეუკვეთა სოხუმამდე და ორდენებით დაჯილდოვდნენ.

ამ ერთი თვის წინათ კი მერაბ ბერძენიშვილმა — ლეგენდატყუალმა მოქანდაკემ საკუთარი სახლის ეზოში გახსნა დიდი რუსთაველის ქანდაკება. და რომელი ორდენზეა საუბარი, მაღლობაც არაფის ნამოსცდენია სააკაშვილისა და უგულავას მთავრობიდან.

ასეა, ასე... ხვალ კობა ხაბაზს დააჯილდოვებენ, ალბათ, „ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით“... ზეგ — ნუგზარ ნიკულაურს, მამუკა — ქეთუსია იგნატოვას... რა, ცოტანი არიან თუ?!

დაბოლოს... „ნაბუკო“ „დაიბადაო“, ტვინი „გაბურღეს“ ტელეეთერით... არადა, გუშინ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 148 წელი შესრულდა...

გუშინვე ნოდარ დუმბაძე 81 წლის გახდებოდა...

გუშინვე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეც იყო... გაახსენდათ?

ვიორაი მააგაჟილი

საქართველოში ახალი ორდენები დაწესდება

ახალი კანონპროექტის მიხედვით, უნდა მოხდეს ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის, თამარ მეფის ორდენისა და წმიდა ნიკოლოზის ორდენის შემოღება. ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი მიენიჭება კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილ მოღვაწეებს შესაბამის სფეროში შეტანილი წვლილისათვის.

ქალბატონები თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდნენ ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ხოლო საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობაში დამსახურებისთვის — წმიდა ნიკოლოზის ორდენით.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების დაწესებაც.

შესაბამისი კომიტეტის წევრებმა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანას მხარი დაუჭირეს.

ტარკადაბორეხულები, ანუ სხვის რასაზეც ორმოში ჩაპარდნილნი

„ტარკა“ დაუგორდა დაღმართში ჩვენს ხელისუფლებას, მისდევს და ვერ ეწვევა. ვერ ეწვევა და დოპინგს იკეთებს ძველი ლოზუნგებით: „წინ მივაღოთ ყოველდღიურად, საერთო სიხარულია!“

ლაგამანყვეტილი თავდაჯერება ტარკადაბორეხულების.

ძალაუფლება ხელიდან ეცლება. ესენი კი ან შეგნებულად თავს იტყუებენ და ჩვენს გაბითურებასაც ცდილობენ, ან პალატა ელთი №6 (იხ. ნიკოლაი გოგოლი). მოსკოვში ობამა-მედვედევის შეხვედრის დღეებში ვილნიუსში თავშეფარებულმა სააკაშვილმა მიხეილმა დაიმონმა აშშ პრეზიდენტი და ტაში შემოჭრა სიხარულით ატაცებულმა: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობდით (ნაიკითხე — „მეო“) დასტურდება: ჩვენ შევინარჩუნეთ მხარდაჭერა. ჩვენ გვექნება კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა“.

მაშ, მტყუენის?! ბარაკ ობამამ სიტყვასიტყვით თქვა: „ნება მიბოძეთ, მკაფიოდ (!) განვაცხადო: ამერიკას არ შეუძლია და თავს არ მოახვევს სხვა ქვეყნებს მმართველობის რაიმე სისტემას, ჩვენ არ ვარჩევთ პარტიას ან პიროვნებას, რომლებიც უხელმძღვანელებს სხვა სახელმწიფოს, თუმცა ამ ფრონტზე ჩვენ ყოველთვის სათანადოდ არ ვიქცევოდით“.


რა ვერ გაიგე, ბატონო მიხეილ, ამ უმარტივესი სენტენციიდან? „ჩარეცხილიაო“ არ უთქვამს, მაგრამ საესებოთ გასაგებად მიგვანიშნა — საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს მხარს არ დავუჭერთ, რადგან ვერც პრინციპებს ვუღალატებთ, არც სიცოცხლის ბოლომდე მიმას პრეზიდენტობაზე არ დავგვიფიციაო ხატზე, რაც აქამდე გავაკეთეთ, ისიც შეცდომა იყო.

„...ჩვენ პატივს ვცემთ უნივერსალურ პრინციპს, რომლის მიხედვით ადამიანებმა უნდა აირჩიონ საკუთარი ლიდერები იმის მიუხედავად, ვეთანხმებით თუ არა ამ ლიდერებს“.

სად ჩანს აქ სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერა? — არსად! მაგრამ როგორც ავტორიტეტული ბრიტანული გამოცემის Oxford Analytica-ის ექსპერტებს მიაჩნიათ, „საკაშვილმა, როგორც ჩანს, ირწმუნა, რომ ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერა მას უკვე გარანტირებული აქვს და, ამით გათამამებულმა, შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ერთპიროვნული მმართველობა და რუსეთთან უფრო გამოძინევად იმოქმედოს. ვილნიუსში სააკაშვილი ისევ შეეცადა, ობამას განცხადებებზე აშშ-ის მიერ თავისი მთავრობის მხარდაჭერად გაესაღებინა“.

სხვა რა გზა ჰქონდა! გზა ისაა, მიშამ რომ აირჩია, მაგრამ იმ თავდაღმართში „ტარკა“ დაუგორდა: „ჩვენ მეგობრებთან ერთად აუცილებლად მოვახდენთ ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციას, აუცილებლად გავაძევებთ დამპყრობელ ძალებს ჩვენი ტერიტორიიდან!“

მაშ, მტყუენის?! ერთი მარშან ამ დროს გაიმარჯვა, მეორედ — ახლა აპირებს. ეს რამდენიმე დღეა პატივცემულმა მიხეილმა და მისმა მთავრობამ პოლიტარლანი სხვადასხვად დაატრიალეს — რუსეთი ომით ჩვენს წინააღმდეგ არ წამოვაო. კაცო, როდის დაგიჯეროთ, როცა საომრად მოგვინოდებ,



თუ როცა გვამ-მვინებ — ომი არ იქნებაო?

შარშან დელი ერთიც გვახსოვს და მეორეც — და ყველგან ცხვირი ნავიშვრით. იმდენს იზამს, თვითონ გადავა მორიგ შეტევაზე და ახალ დიდ გამარჯვებასაც მოიპოვებს...

„მაშ, მტყუენის?!“ მრავალგანზომილებიანი მცნებაა.

ერთ-ერთი თემა, რომელსაც ბარაკ ჰუსეინი ობამა მოსკოვში გამოსვლისას შეეხო, ამერიკის დანტერესების თემა იყო ისეთი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებით, „რომელიც ხელს შეწყობს თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის პირობებში“.

ენის წევრზე დავიჭირე „მაშ, მტყუენის?!“ ყოფილ იუგოსლავიის ტრაგედია, დაშლასა და დანაწევრებას რა ვუყოთ, რომელიც სეპარატიზმის გაღვივების მძლავრ იმპულსად იქცა?

სახრწობელაზე ჩამოკიდებულ ჰუსეინის ცხედარს რა ვუყოთ, ბატონო პრეზიდენტო? ხომ ყველასათვის ნათელია, რომ თქვენმა წინამორბედმა აშშ ენერგოგაგანტების საცეცების არეალის გასაფართოებლად წამოიწყო ერაყის ომი და დღეს ამერიკელ სამხედროებს (დიქტატურისგან ერაყის გამათავისუფლებლებს) ნავთობის საკუთარი ბიზნესი აქვთ ამ ქვეყანაში.

თქვენი ბრალი არ არის. მაგრამ ავღანეთიდან ფეხს რომ არ იცვლით და იქაურ საარმიო კონტინგენტს თუნდაც ქართვე-

ლი ჯარისკაცებით რომ აფართოებთ, ამ სინამდვილეს რა ვუყოთ?

ეტყობა, ესაა სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა ამერიკულად. ძალიან ჭირს განსხვავების პოვნა საბჭოთა არმიის შეზღუდული კონტინგენტის ავღანეთში ყოფნასა და იმავე ქვეყანაში ამერიკის გამათავისუფლებელ მისიას შორის. ერთიც და მეორეც პრინციპულად იმპერიულ მისწრაფებათა განხორციელების მცდელობაა. ამიტომ, დიდი

ლება სჭირდება იმის დადგენას, რა ძალაა, რომელიც მოვლენათა გამოვრებას უწყობს ხელს.

ძალა ხელისუფლებაშია! „ძალა ერთობაშია“ — ჩვენს გერბს რომ ანერია, საშინაო მომარებისთვისაა, უბირთა და მალემრწმენათთვის განცხადებული.

ელიმება იუმს თავისი საუკუნის სიმორიდან. ბუზი კი ბუზის მომამზრებლად, შემოდგომის ბუზი, რომელიც, თავლი იყოს და ამერიკაშიც გაფრინდება.

აბა, ბაღდადიო?! ეგ ძველ დროში მოდიოდა ბაღდადიდან. ახლა პოლიტიკის თავლი და სკები ამერიკაშია.

„ბევრი დასავლელი ექსპერტის აზრით, სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარი გარე და შიდა პრობლემების მოსაგვარებლად შეეცდება, უფრო აქტიურად გამოიყენოს ვაშინგტონი. სხვათა შორის, ამას მოწმობს ბოლო დროს გახშირებული ქართულ-ამერიკული ოფიციალური და, უფრო მეტად, არაოფიციალური კონტაქტები, თუმცა დღეს სიტუაცია საქართველოში და მის ირგვლივ უფრო

რთულია, ვიდრე შარშანდელ ზაფხულში იყო“, — მიანიათ ექსპერტებს.

ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდა ბარაკ ობამას განცხადება: „ნატო უნდა მიისწრაფოდეს რუსეთთან თანამშრომლობისკენ და არა — კონფრონტაციისკენ“.

განაწილებს ობამას ეს მინიშნება ბუზის კოვბოური საგარეო პოლიტიკის ქართველი თავყანისმცემლების საბრძოლო ალტყენებას თუ არა, ვერაფერს მოგახსენებთ.

არამაზ სანაბლია

P.S. Тачка ქართულად ურიკაა. სამეგრელოში „კაჩკას“ ეძახიან. „ურემო, რა გაჭრიალებს და — რაც მამძიმებსო“, — ეს ხალხური ანდაზაა.

უგულავამ ბავშვებს ბინა წააჩოვა

გლდანის მეორე მიკრორაიონში მცხოვრებ არასრულწლოვან ბავშვებს — ფრიდონაშვილებს — გარდაცვლილი მამის ბინაზე საკუთრების უფლების მონაშობის რეგისტრაცია უკანონოდ გაუუქმეს.

ადვოკატ მაია ნერეთლის განცხადებით, თბილისის მერის გიგი უგულავას აღნიშნული განაწილებული კანონის დარღვევაა. ადვოკატი აღნიშნავს იმასაც, რომ ბინით დაინტერესებულმა ბავშვების ბებია და მისი ახლოობელი, ვინმე გიორგი ნათაძე, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის დაცვის ნეერი აღმოჩნდა. ყველა საჩივარი ბავშვების წინააღმდეგ სწორედ ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ ლეიბორისტთა ოფისიდან იგზავნება. „ჩვენ მივმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომელმაც საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ მასა-

ლები თბილისის მერს გადაუგზავნა, რომელმაც მოქალაქეთა არა მხოლოდ კონსტიტუციური, არამედ მორალური უფლებებიც დაარღვია. ამჟამად დახმარებისათვის მივმართეთ ევროსაბჭოს წარმომადგენელს საქართველოში, რადგან ჩვენს ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, დაიცვას ობოლი ბავშვების ინტერესი“, — განაცხადა დაზარალებულთა ადვოკატმა.

საქართველო

გზერთ, გაზიფიკაციის თანხები მოსაზრებები? დაგზიფიკაცი: 38-41-97, ან მოგზიფიკაცი: info@geworld.net

2009 წელი. საქართველომ ისევ სცადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი გზით მიერთება. კონფლიქტში ჩართო ნატოც, რომელმაც თავის წარმომადგენლად პოლონეთი აამოქმედა. სწორედ ამ დროს უკრაინამ სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის ბლოკირება მოახდინა. რუსეთს არ შეეძლო, გვერდზე გამდგარიყო, ამიტომ საპასუხო დარტყმა მიაცენა...

ეს არ გახლავთ უახლესი ისტორიის ალტერნატიული სახელმძღვანელო, არც — ფაქტების გაყალბების მცდელობა. ესაა ანოტაცია 2008 წელს გამოსული კომპიუტერული თამაშისა „წინააღმდეგობა: იძულებითი მშვიდობა“.

მოკლე მიმოხილვა: კომპიუტერული თამაშები რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. მათგან ერთ-ერთი უმოპულარესი უანია RTS (Real-Time Strategy), ანუ სტრატეგია რეალურ დროში. კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიას კარგახანია, შეუერთდა რუსეთიც. რამდენიმე წლის წინათ რუსულმა კომპანია „Руссофт-М“-მა გამოსცა Red Ice Software-ს მიერ გამოშვებული თამაში „წინააღმდეგობა“ (Противостояние), რომელიც გამოირჩეოდა, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასახარბიელო გრაფიკით (ანუ გამოსახულების სიმკვეთრით), ყოვლად გაუგებარი გეოგრაფიით (მართვის სისტემით) და თავიდანვე დამსახურა მოთამაშეების არაკეთილგანწყობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპანიას არ შეუჩერებია მისი დამატებების, ეგრეთ წოდებული ადონების (add-on) გამოშვება, რის შედეგადაც დღის სინათლე იხილა დაახლოებით 12-მდე „წინააღმდეგობა“ სხვადასხვა სათაურით, სხვადასხვა სიუჟეტითა და ერთნაირად არასახარბიელო გრაფიკით. მათი სცენარი, ძირითადად, წარმოსახვით ისტორიულ მოვლენებს, მომავლის უმეტესსა და კონფლიქტებს ეფუძნებოდა.

არცთუ დიდი ხნის წინათ გამოვიდა „წინააღმდეგობის“ ჯერჯერობით ბოლო ვერსია „წინააღმდეგობა: იძულებითი მშვიდობა“, რომელიც, ყველასგან განსხვავებით, რეალურ მოვლენებზე, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომზეა დაფუძნებული და ისეთივე უინტერესო დარჩებოდა ყველა გეიმერისთვის, როგორც მისი წინამორბედი, რომ არა თამაშის პოლიტიკური სარჩული და საფრთხე, რომ მასში აღწერილი სიუჟეტი შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს რეალობად იქცეს...

თამაშის დასაწყებად აუცილებელია მისი რომელიმე მონაწილე მხარის არჩევა — ან ნატოს მხარეზე უნდა იბრძოლო, ან რუსეთის, ან უკრაინის, ან კიდევ საქართველოს.

იძულებითი მშვიდობა

ვირტუალური საქართველოსთვის...



მე, როგორც პატრიოტმა, რა თქმა უნდა, საქართველოში დავინწყე... და სწორედ აქ გამოჩნდა ერთი მეტად უცნაური, უფრო სწორად, რეალობასთან ერთი-ერთზე მიმსგავსებული გარემოება — საქართველოში თამაში თვითმკვლელობის ტოლფასი ყოფილა, თანაც სირთულის ნებისმიერ დონეზე!

გადაკეთა მებრძანებინა, რომ საიდანაც რაღაც რუსული ცეცხლი მომხვდა და თამაში იქვე დამთავრდა.

მას შემდეგ დაახლოებით ორი დღე ვინვალე, როგორმე თუნდაც ერთი შეტაკება რომ მომეგო, მაგრამ ამაოდ. ეს მაშინ, როცა მსგავსი კატეგორიის თამაშების მოყვარული ვარ და გამარჯვების მოპოვება არანაირად არ მიჭირს.

საუკეთესო, რაც ამ თამაშს აქვს, ესაა მისი დისკის ყდა — გარეკანი, რომელზეც საკუთარი პასუხისმგებლობის მოტარებზე ჩვენი პრეზიდენტიც გამოსახული.

პოლიტიკა რომ ბინძური თამაშის ხელოვნებაა, ცნობილი ფაქტია, მაგრამ „წინააღმდეგობა“ ბინძურ თამაშსაც ვერ უწოდებ, ესაა თამაში, რომელსაც მხოლოდ გარეკანი უფარგა, ისიც იმიტომ, რომ პირდაპირი მინიშნება რეალურ მოვლენებზე.

„წინააღმდეგობა“ შესანიშნავი მაგალითია, როგორ არ უნდა იყოს თამაში. ეს თამაში, ასევე, ერთგვარი მინიშნებაა, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში...

ეს თამაში, ასევე, პირდაპირი გაფრთხილებაა, რომ რაც შარშან აგვისტოში მოხდა,

წლებულსაც შეიძლება განმეორდეს... და ათჯერაც რომ განმეორდეს, ათჯერაც რომ წამოვიწყოთ სამხედრო ოპერაცია „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ მიზნით, ათიჯერ იგივე მოხდება, რაც 2008 წლის აგვისტოში. საკითხავი მხოლოდ ის არის, გავუძლებთ თუ არა ათჯერ ასეთ კატასტროფას. ეს თამაში, ასევე, შესხენება საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ პოლიტიკა და, მით უფრო, იარაღთან თამაში კომპიუტერული თამაშებისგან იმით განსხვავდება, რომ არც დარესტარტების საშუალება გაქვს და აღამიანებასაც ნამდვილად კლავენ, ანუ ბოლო დამახსოვრებიდან თამაშის განახლებით ვერც დაბოცილ ჯანსაღსაც ვაძვირებთ და ვერც დაცარიელებულ გადაშენარ სოფლებს აღადგენ.

რაც შეეხება თამაშს „წინააღმდეგობა: იძულებითი მშვიდობა“, დასაწყისა, რომ მას ასეთი ცუდი გრაფიკა, მარტივი და თავიდანვე ცხადი სიუჟეტი აქვს, თუმცა ეს ხომ პირველი თამაშია, რომლის გარეკანზეც ჩვენი პრეზიდენტიც გამოსახული. ის კი 2013 წლამდე ნასვლას არსად აპირებს და ვინმე კიდევ არა ერთი, გაცილებით დახვეწილი თამაშების გმირიც გახდეს...

ლემო ლემოვილი

ბარაქობანი ვიზიტი უბარაქო დეტალები

როგორც ჩანს, ამოუწურავია ჩვენი პრეზიდენტის ფანტაზია. დავინწყით იმით, რომ ბათუმის რომელიღაც მშენებარე „კრიშაზე“ არმატურებისა და ბეტონის ზღვის ფონზე მან მთავრობის გასვლითი, უფრო „ასვლითი“, სხდომა ჩაატარა, რამაც უნებურად ჯერ ბავშვობისდროინდელი ზღაპრიდან სახურავის ბინადარი კარლსონი გამახსენა, რაც ღიმილის მომგვრელი იყო; მერე მისას ოპოზიციონერობაც მომავლანა, როცა ხშირად „რუსთავი 2“-ის თანხლებით გლდანში „კრიშაზე“ დაძვრებოდა. ესეც ღიმილის მომგვრელი იყო, ოღონდ, სიმწრის ღიმილის, რადგანაც გლდანის „კრიშებიდანაც“ ქვეყნის, დემოკრატიის შენებას გვპირდებოდა და იგივეს გვპირდება ახლაც ბათუმის სახურავიდან.

გასულ შაბათს კი ბატონი პრეზიდენტი საკუთარ სასახლეში ბავშვების გარემოცვაში ვიხილეთ, რის შემდეგაც ნამდვილად ძნელი სათქმელია — უნდა ვიტყვი, თუ უნდა ვიცინოთ; ალბათ, — ორივე ერთად.

მწარე რეალობაა, რომ მისას შინ და გარეთ არანაირი რესურსი აღარ გააჩნია, ოდენ იაფფასიანი პიარისა. უფრო მეტიც, სააკაშვილთან შეხვედრას, მისთვის ხელის ჩამორთმევას ყველა ნორმალური ქვეყნის ლიდერი ერიდება. თუ არა და, იქნებ ვინმემ შემახსენოს აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის მეტნაკლებად სერიოზული ვიზიტი დასავლეთში ან პირიქით, დასავლეთიდან — საქართველოში. აბა, სატორალი არ არის ეს სამსუხარო რეალობა? — ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ოღონდ მხოლოდ ქვეყნის სხალინდელ დღეზე მოფიქრალი ხალხისთვის და არა მიმარასტები-სათვის.

პრეზიდენტმა ბავშვებს საკუთარი რეზიდენცია რომ დაათვალიერებინა, ამაში საძრავის-სასაცილო თით-

ხელისუფლება სრულ მზადყოფნაში იქნება — აიქორება, აზვირთდება დემოკრატიის ახალი ტალღები ცემატყეპის, არალეგალური ტყვეების წვიმის, მასიური დაჭერებისა და სხვა უმხედავობათა სახით.

ბავშვებთან საუბრისას სააკაშვილი გლობალურ პოლიტიკასაც შეეხო — ჩვენი დედამისი 0,47% გვიკავია და, მართალია, ვიღაცებს ჩვენი ტერიტორიის 20%-ის მიტაცება უნდაო, მაგრამ ვერ მივართვითო...

მივდევით კიდევ წინამდებარე წერილის სერიოზულ ნაწილს.

მოსკოვში ყოფნისას ობამამ ორი დღის განმავლობაში ორჯერ ახსენა საქართველო და ორივეჯერ მკვეთრად დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარი — აი, ნაცპროპაგანდის მთავარი თეზა, რასაც დღემდე ატრიალებენ საკუთარ ტელევიზიებში საკუთარი „ექსპერტების“ კომენტარებით. პრეზიდენტმა ამ ამბავს უშიშროების საბჭოს სხდომაზეც კი მიუძღვნა — ომი აღარ იქნებაო, მოკლედ ყველა დონეზე წყლოპინეზე რაღაც ნიშნისმოგებით, თითქოს „ნაცების“ გარდა ყველას ჩვენი ქვეყნის ცუდი გაგვიხარდება.

გასულ შაბათს RTVI ყოველკვირეულ გადაცემაში „Грани недели“, რომლის მთავარი თემა მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრა იყო, თითქმის ნახევარსაათიანი სიუჟეტი გავიდა. გუსინსკის ტელევიზიას, რომელიც პუტინის მტერია და ვერავინ დასწამებს პრორუსულობას,

საქართველოსა და უკრაინაზე სიტყვაც არ დასცდენია. ამ ტელევიზიამაც კი 1996 წლის არჩევნებში ელცინის გამარჯვებას იმავე საღამოს ორჯერ მეტი დრო დაუთმო, ვიდრე ობამას ვიზიტს.

რა თქვა ამისთანა ობამამ, რაც, თუნდაც, მის წინამორბედებს არ უთქვამთ? აღარაფერს ვამბობ გაეროსა და ეუთოზე. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი ლიდერების არჩევის უფლება. მათ, ასევე, უნდა შექონდეთ მყარი საზღვრები და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ეს არის ჭეშმარიტება რუსეთისთვის ისევე, როგორც ამერიკისთვის, — თენგიზ გოგოტიშვილის ხმით გვამცნო „რუსთავი 2“-ის P.S.-მა.

იგივე RTVI-ზე ობამა-პუტინის საუბრის შემდეგ, როცა მათ კომენტარი არ გააკეთეს, გამოვიდა პუტინის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი და გვამცნო, თუ რაზე ისაუბრეს საუბრის დროს, ანუ პუტინს საქართველოს პრეზიდენტი „აღერსიანად“ უხსენებია, აგრეთვე, დაუმუნათებია ობამა — თქვენი შეგულიანებოთ იყო მიზა და ამიტომ შევარდა ცინივალური და საერთოდაც, პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის ინტერესების სფეროში შედისო, რაზეც ობამას სიტყვა მიუცია პუტინისთვის — ამერიკა აუცილებლად გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს უკრაინაში, საქართველოსა და, ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში. და იქვე — ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება უახლოეს მომავალში გამორიცხებულიაო. ვიმეორებ, რომ ამ ში-

ნარსის კომენტარი ოფიციალურად გაკეთდა მაღალი რანგის ჩინოვნიკის მიერ.

თუ კი ეს სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ გოგოტიშვილია მართალი, რატომ არ უარყო თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ოფიციალურად ეს განცხადება?

ერთადერთი საჯაროდ განცხადებული რეალური შეთანხმება, რაც მოსკოვში შედგა, ის არის, რომ რუსეთი დათანხმდა ამერიკის სამხედრო ტვირთების გატარებაზე საკუთარი საჰაერო სივრცით ავღანეთის მიმართულებით. რა, ცალმხრივად და წავიდა რუსეთი ამ ნაბიჯზე და სადაცღოდ არაფერი მიიღო? აი, მთავარი კითხვა, რაზეც უსუსტი პასუხი გვერეგობით არ ვიცით, მაგრამ ეს პასუხი აშშ პრეზიდენტის საქმით — ახლო მომავალში განვითარებული მოვლენებით — გამოჩნდება.

ტერიტორიული მთლიანობა და მტკიცე საზღვრები, როგორც რუსეთი იტყვიან, „понятие растяжимое“. ობამას ამ კონტექსტში არ უხსენებია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ „მტკიცე საზღვრები“ ბარაკ ობამამ აგვისტოს ომის შემდგომი საზღვრები იგულისხმებ? ახალი ომის საშიშროების ალბათობა რომ პრაქტიკულად ნულის ტოლია, ამას რად უნდა ეკატყეშელაშვილის უშიშროების საბჭო? რაღად უნდათ რუსებს ახალი ომი, თუ კი რაი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ამას რად უნდა ეკატყეშელაშვილის უშიშროების საბჭო? რაღად უნდათ რუსებს ახალი ომი, თუ კი რაი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ამას რად უნდა ეკატყეშელაშვილის უშიშროების საბჭო? რაღად უნდათ რუსებს ახალი ომი, თუ კი რაი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ამას რად უნდა ეკატყეშელაშვილის უშიშროების საბჭო?

მედევევის გაკეთებული განცხადება ნიშნის მოგებით გააპიარა — მოუწვევს რუსეთს აფხაზეთში გაეროს მისიის გაგრძელებაზე ვეტოს მოხსნაო. არა და, რუსეთის პრეზიდენტმა ის თქვა, რომ რუსეთი არ არის წინააღმდეგი აფხაზეთსა თუ ცინივალში საერთაშორისო მისიებისა, ოღონდ ახალი, ფაქტიური რეალიების გათვალისწინებით. ეს ახალი რეალობა კი ის არის, რომ საქართველოს ეს ორი რეგიონი რუსეთის მიერ დეიურედ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და, თუ ამას გაითვალისწინებენ, მაშინ მოხსნის ვეტოს რუსეთი.

ერთი სიტყვით, კითხვები და ვარაუდები საკმარისზე მეტია. ერთი რამ უდავოა — სატრაბახო და გულში მჯილის საცემი ბევრი არაფერი გვაქვს, რადგან ჩვენი ქვეყნის მომავალი ობამას მოსკოვერი ვოიაჟის შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში, ბუნდოვანი და გაურკვეველია. გასული საუკუნის ოციანი წლებიდან (ერთა ლიგიდან დაწყებული) და ბოლო ოცი წლის (გაერო-უეთოთი და ამერიკის ყველა პრეზიდენტით დამთავრებული) განმავლობაში ყველა აღიარებდა და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ობამას მიერ ჩვენს „დასაცავად“ მოსკოვში გაკეთებული განცხადება კი იმას ჰგავს — კაცი წყალში რომ იხრჩობოდეს და მისი „მეგობარი“ მიშველების მაგივრად ნაპირიდან ეძახდეს, გიცანი და გალიარებო!

დაპით შპიიკა

მიუხ და სოხეხი, ახუ ვიხი პრეზიდენიხი სააკაშვილი?

შარშან აგვისტოში, თურმე, ჯავახეთისკენ მიმავალი რუსული ტანკები, რომელთა მიზანსაც ნავთობსადენის დაპყრობა წარმოადგენდა, შეაჩერა სპეცრაზმა, რომელიც „100%-ით სომხებისგან“ შედგებოდა. მათ რუსებს განუცხადეს, ამის მერე „მხოლოდ ჩვენს გვამებზე გადაივლით და ისე გააგრძელებთ გზასო“. მცირე ხნის მოლაპარაკების შემდეგ რუსები უკან გაბრუნდნენ.

იკოდით? არა?
იკოდით, რომ საქართველოში თურმე ეთნიკური ნიშნით (100%-ით სომხებისგან) დაკომპლექტებული „სპეცრაზნი“ არსებობს?
არც ჩვენ!
ზღაპარს კი არ გიყვებით, ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა თქვა სომხეთის დედაქალაქში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე.
არც სომხებს სცოდნიათ და მიშამაც ზარ-ზეიმით აუწყა!
ჩვენ გვევონა, რომ რუსების არმია, რომელიც მთელი საქართველოს აღებას გეგმავდა, ევროპის მხარდაჭერამ, საფრანგეთის პრეზიდენტის თავგამოდებულმა შრომამ, მსოფლიო საზოგადოების პროტესტმა და თითო-ორი ღირსეული ქართველისადმი კრემლში შემორჩენილმა პატივისცემამ შეაჩერა.
თურმე, ვცდებოდით!

თურმე, ახლა რომ ამ ნერილ ვნერ, თქვენ რომ კითხულობთ, პრეზიდენტი რომ ისევ მიშაა, ოპოზიცია რომ ისევ „გრეჩიხა“, „კავკასია“ რომ ისევ აქუბარდისია, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ისევ რომ ავებს, საქართველოს საერთოდ რომ ჰყავს საფეხბურთო ნაკრები, რუსთაველი რომ ისევ გადაკეტილია და ნახევარმა საქართველომ ჯექსონს რომ არ გავასწარი იმ ქვეყნად — ეს ყველაფერი „100 პროცენტი“ სომხებით დაკომპლექტებული „სპეცრაზნი“ დამსახურება ყოფილა!
დიდი მადლობა პატრულს კი არა და, სომხებს!
რა კარგია, ასეთი მეზობლები რომ გვყავს! საინტერესოა, ამ მეზობლებთან ერთ მშვენიერ დღეს „საქმის გარჩევა“ რომ მოგვიწიოს, ვის მხარეს დაიკავებს „100%-ით სომხებისგან“ დაკომპლექტებული „სპეცრაზნი“ — ქართლოსის თუ შაოსის?
ცოტა რომ გაგვივლის ეს



ვიფორია, მეზობლების სიყვარულის გახეთქილი ბუშტი ისევ რომ გაგვეკერება და რომ დავწყნარდებით, ვარიანტი არაა, რომელიმე ნორმალურად მოზროვნე ადამიანმა (ჩვენ თუ აღარ დაგვრჩა, სომხებს ჯერ კიდევ ხომ მაინც ჰყავთ ასეთები) არ გაიაზროს, რომ რაღაც ისე ვერაა, რო-

სილი სპეცრაზმი საქართველოს სადარაჯოზე იდგა, თუ ყველაფერი კარგად იყო და თუ არაფერი გვემუქრებოდა, მაშინ რატომღა ვანვალეთ ნახევარი ევროპის პრეზიდენტები (განსაკუთრებით, ერთ-ერთი, მგონი, ესტონეთის პრეზიდენტი იყო, ზუსტად არ მახსოვს, მოხუცი კაცი), რატომღა ვარბენინეთ რუსთაველზე და რატომღა ვამღერეთ ხელიხელჩაკიდებულები „თავისუფლება ლომთა ხვედრია“?
მესამეც — თუ ასეთი მაგრები არიან სომხები, რომ ერთი სპეცრაზმით რუსეთის ჯარის სატანკო კორპუსი უკან გააბრუნონ, ხომ არ ჯობია, საერთოდ აღარ გავინვიოთ ჯარში ქართველები და პირდაპირ სომხები დავიქირაოთ მეტროდობად?
„რუსეთს ფეხზე ეკიდა სომხეთის ინტერესები. მათი ძალები სწორედ იმ სატრანზიტო გზებს, ხიდებსა და რკინიგზებს ურტყამდა, რომლებიც სომხეთში მიდიოდა, — განაცხადა სააკაშვილმა, — მე დამირეკა რობერტ ქოჩარაიანმა და შემატყობინა, რომ რუსებმა ლარსი ჩაკეტეს, ოღონდ მხოლოდ ქართველებისთვისო. ჩვენ სიამოვნებით გავგატარებენო. მე ვუთხარი, რომ ქართული პოლიცია ნახევარ საათში ასობით ქართულ სატვირთო მან-

მო-საენა და გაგონება

მოხიხინა, თორემ დაგასხენ!

გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ ჩაატარა გამოკითხვა, ყველაზე მეტად ვის უსმენს და უჯერებს პრეზიდენტი სააკაშვილი.
პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ: მისი უცხოელი კოლეგები — 7,68% და საკუთარი პოლიტიკური გუნდი — 7,29%.
მკითხველთა აზრით, მათ შორის, ვისაც პრეზიდენტი უსმენს, ხუთეულში მოხვდნენ: საერთაშორისო ორგანიზაციები — 6,94%, ჟურნალისტები და მასმედია — 5,13% და, ასევე, პოლიტოლოგები და ექსპერტები — 4,16%.
ბოლო ადგილებზე გავიდნენ: ხალხი — 3,89%, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები — 3,64%, ინტელიგენცია — 3,46% და ოპოზიცია — 2,8%.
საგულისხმო შედეგებია, დამეთანხმებით.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ, კვირიკე დიდმა სამეფოს ცენტრი ივრის ხეობიდან ალაზნის ხეობაში გადაიტანა: „ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“, მაგრამ ამავე დროს „ჰყო სასახლე თიანეთისა სახელოვანი ბოლოვი“. ეს ბოლოვი შემდგომში ბაგრატ IV-ს გადაუწვავს.

ნიკო ბერძენიშვილი 1935 წელს გამოთქვამდა ეჭვს, რომ ეს ბოლოვი დაბა თიანეთთან ახლოს, სოფელ ბადა-ანთან მდებარე ცხრაკარას ნანგრევები შეიძლება ყოფილიყო. მაშინ, თურმე, ცხრაკარაზე თავისუფლად იკითხე-

ფრამენტები. როგორც ირკვევა, ძველი კოშკიც თავისებური სამლოცველო ან სულაც დაყუდებული ბერის საცხოვრისი იყო.

გოჯიანებიდან დულუზაურებამდე დაახლოებით 3 კილომეტრია და ორივე სოფელი ივრის მარცხენა სანაპიროზეა. სწორედ დულუზაურების თავზე, ტყით შემოსილ კლდეზეა აშენებული არხალის ციხე-დარბაზი. ვინ იცის, „სახელოვანი დარბაზი ბოდოჯისა“ სწორედ ეს ციხე იყო და არა ცხრაკარა. მით უმეტეს, რომ სიტყვა „ბოდოჯი“ კლდე გულისხმობს. თიანეთში გადმოყვანილი სუსანა ლაშა-გიორგის, თითქოს, აქ უფრო უნდა დაესახლებინა. საქმე ისაა, რომ ცხრაკარასთან შედარებით არხალი უფრო გამაგრებულ დამოუკიდებელ ალაგზეა. გარდა ამისა, ის ფშავისაკენ მიმავალ გზაზეა, ჩვენ კი ვიცით, რომ ლაშა-გიორგის თხოვნით, სუსანა ფშავში მიიღიოდა ერთხანს აჯანყებული მოსახლეობის დასამშვიდებლად.

არხალის კომპლექსი ცხრაკარაზე უკეთ გამოიყურება. ამჟამად სანახევროდ დანგრეული გალავნით შემოსაზღვრული ტერიტორია ელიფსის ფორმისაა. მის თავსა და ბოლოში კოშკებია ჩასმული. ცენტრში შემორჩენილია სასახლის ნაშთები, რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. აქვეა სხვა ნანგრევებიც. ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედ კოშკთან, დგას დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები აქვს. კარიბჭეები ორივე მხრიდან თაღებით ყოფილა გახსნილი, მაგრამ შემდეგ ამოუშენებიათ. უფრო მეტიც — სამხრეთ კარიბჭიდან მთავარ დარბაზში შემაგალი თაღი ამოუქოლავთ და დამოუკიდებელ სამლოცველოდ უქცევიათ. ყურადღებას იქცევს ამ სამლოცველოს აფსიდის ფორმა. ის წრის მეთხე-დია მხოლოდ. ეკლესია ნაგებია უხეშად გათლილი კლდის ქვისა და შირიმის კვადრების მონაცვლეობით. ამის მიუხედავად, ოსტატს, ასე თუ ისე, მაინც მოუხერხებია ქვათა ნიჟარის პარალელების დაცვა.

ტაძარი ხუროთმოძღვრული გადანწყვეტითა და გეგმარებით განვითარებული შუასაუკუნეებისაა. ეს ძალიან დიდი ფეოდალის ან სულაც კახეთის მეფის ერთ-ერთი რეზიდენციის კარის ეკლესიაა.

როგორც ვიცით, XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III „დადგა თიანეს და იწყო შემუსვრად კახეთისა“, ხოლო 2 წლის შემდეგ „ნარახუნა ყოველი ციხენი კახეთისა“ დავით ქორეპისკოპოსისაგან. შესაძლოა, მაშინ მიადგა პირველი ზიანი არხალს, მაგრამ მას რომ აუცილებლად აღადგენდა კახთა პირველი მეფე კვირიკე, ესეც უდავოა. კახეთ-ჰერეთის ამ დიდი სამეფოს გაუქმების შემდეგ რომელი ფეოდალს ეკუთვნოდა არხალის კომპლექსი, ძნელი დასადგენია, მაგრამ ლაშა-გიორგის რომ თავისუფლად შეეძლო თავისი ქვეშევრდომის მამულის გამოყენება სუსანას დასაბინავებლად, რეალობასთან ესეც არ მოდის წინააღმდეგობაში.

სუსანას ნაკვალევზე მოგზაურობას მომდევნო თავში განვაგრძობთ.

გელა ქოქიაშვილი
ავტორის ფოტოები



არხალის ეკლესია

იალტის ქალაქის თავი ივანე ანტონის ქე დუბაძე

ორჯერ იქორწინა, ჰყავდა 5 ვაჟი და 2 ქალიშვილი. უფროსი – ალექსანდრე იყო ყირიმის ცხენოსანთა პოლკის როტმისტრი (1918 წელს მოკლეს რევოლუციონერებმა); ანტონი (1887-1948) – სამხედრო მფრინავი, კაპიტანი, რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა; გიორგი – ზოგიერთი ცნობით, ასევე, ემიგრაციაში იმყოფებოდა და მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა; ხოლო ვლადიმერი და გავრილი – არაზუსტი მონაცემებით, საქართველოში 1937-ში დახვრიტეს.

იმპერატორის არმიის გენერალ-მაიორები, „ჭეშმარიტად რუსი ქართველები“ იყვნენ, ასევე, ი. ა. დუბაძის ძმები – იოსები, ნიკოლოზი და სამსონი.

1915 წელს გენერალი ავად გახდა. იგი სამკურნალოდ კიევიში გაემგზავრა, სადაც რთული ოპერაცია გაიკეთა. 1916 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან თანამდებობა დატოვა, მალე 66 წლის ასაკში გარდაიცვალა კიდევ. იგი დიდი პატივით დაკრძალეს.

„ამჟვენიდან წავიდა დიდებული სულის ადამიანი, მეფისა და სამშობლოს ერთგული მსახური, უანგაროდ და სამართლიანი ადმინისტრაციული მოხელე“, – აღნიშნავდა გენერალ დუბაძის შემცველი ქალაქის თავის თანამდებობაზე გენერალი ა. ი. სპირიდონოვიჩი.

საყურადღებოა ისიც, რომ ღვთისმსახური, რომელმაც ი. დუბაძეს წესი აუგო, ასევე, გახლდათ ქართველი – თავრიზისა და სიმფეროპოლის არქიებისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე), რომელსაც თავისი თანამემამულე უდიდეს ადამიანად, საყვარელ გმირად, თავდადებისა და ერთგულების სიმბოლოდ მიაჩნდა.

მოამზადა დარეჯან ანდრიასიძე

„იმ წლებში მე რომ გვერდით პოლკოვნიკ დუბაძისთანა თუნდაც რამდენიმე კაცი მყოლოდა, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა“, – აღნიშნა იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ პეტრე არკადის ძე სტოლიპინთან რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით საუბარში. ხელმწიფემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უწესრიგობანი საერთოდ არ იქნებოდა, „ხელისუფლებაში დუბაძის მსგავსი ენერგიული და მამაცი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ“.

ხელმწიფის ამ გულწრფელ სიტყვებში არაფერია გასაკვირი, რადგან ივანე ანტონის ძე დუბაძეს თვითმპყრობელური მონარქიის არსებობის ბოლო ათწლეულის მანძილზე მთელი რუსეთი იცნობდა. ერთია, რომ ზოგი მისით აღფრთოვანებული იყო, ზოგს კი ბოროტად შურდა ქართველი თავადის.

ივანე ანტონის ძე დუბაძე დაიბადა 1851 წლის 19 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში, ქართველი თავადის ოჯახში. სამწუხაროდ, მამამისის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, დედა კი თავად ნაკაშიძეთა ცნობილი გვარის წარმომადგენელი იყო. დაწყებითი განათლება ივანემ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში ჩაირიცხა. 1872 წელს ის პრაპორშჩიკი გახდა და კავკასიის მე-18 ბატალიონში გაანაწილეს; 1875 წელს ახალციხის 162-ე ქვეითთა პოლკში გადაიყვანეს და ერთ წელიწადში პოდპორუჩიკობა უბოძეს.

მალე რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომი დაიწყო და 26 წლის ოფიცერი საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გაემშურა, სადაც მალე „თურქეთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებისათვის“ პორუჩიკის წოდება მიიღო, მაგრამ ომი დუბაძისათვის 1878 წელს არ დამთავრებულა. 1879 წელს იგი ბათუმის მხარეში გაიგზავნა რეგიონში ყაჩაღთა ბანდების გასანადგურებლად. 1880 წელს ივანე დუბაძემ შტაბს-კაპიტნის წოდება მიიღო და გამწესებული იქნა გურიის ქვეითთა რაზმში. დაკავებული იყო რაკეტებისა და ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. შტაბს-კაპიტნის საბრძოლო მამაცობა 1882 წელს წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით, ხმლითა და ზაფთით აღინიშნა, ერთ წელიწადში კი კაპიტნის წოდებაც მიანიჭეს.

1886 წელს მთიულთა მორიგი ბანდის დამარცხების შემდეგ, კაპიტანმა დუბაძემ კანტუზია მიიღო; ამჯერად წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენის (ხმლით) კავალერი გახდა. 1887 წელს ის კავკასიის მესამე რაზმში გაგზავნეს. 1894 წელს დუბაძეს პოდპოლკოვნიკის წოდება უბოძეს, ხოლო ექვსი წლის შემდეგ (1900 წელს) – პოლკოვნიკობა. 1903 წლიდან დუბაძე იმპერატორ ალექსანდრე მესამეს პოლკის მე-16 მსროლელთა დივიზიის მეთაურად დანიშნეს.

1906 წლის შემოდგომაზე, რევოლუციური არეულობის დროს, როცა კურორტ იალტაში განსაკუთრებული მდგომარეობა გამოცხადდა, მთელი იალტის მავრის დაცვის ჯარების უფროსად დაინიშნა და ქალაქის მმართველად დანიშნა ივანე ანტონის ძე, ადამიანი ივანე ანტონის ძე, ადამიანი, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი სიმამაცე და გაბედულება.



ტუმი წაუყენეს, დაეტოვებინა თანამდებობა, თორემ მოკლავდნენ. მათ მიერ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენზე ივანე დუბაძემ უპასუხა: „მე უკვე ვაპირებდი გადადგომას და პატაკიც მოვამზადე საამისოდ, მაგრამ ახლა ვრჩები სამსახურში, რათა საქმით დავამტკიცო, რომ მუქარის არ შეშინია და ჩემი ცხოვრების დაარჩენილ დღეებს მეფისა და სამშობლოს სამსახურს მივუძღვნი“.

1907 წლის 26 თებერვალს იალტასთან ახლოს მის ეტლს ზომბი ესროლეს. ქალაქის თავმა მსუბუქი კონტუზია მიიღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ო. დუბაძეზე თავდასხმა იმ ჯგუფის წევრმა მოახწყო, რომელმაც შემდგომ სამეფო ოჯახი ამოწყვიტა.

აგარაკი, საიდანაც დუბაძეს ესროლეს, ქალაქის თავის ბრძანებით გადაწვეს. ამბობდნენ, რომ ამ ამბის შემდეგ თავდასხმები იალტაზე შეწყდა. აგარაკის მფლობელმა დუბაძეს მიყენებული ზარალის გამო 60 ათასი რუბლის გადახდა მოსთხოვა. პ. ა. სტოლიპინმა ეს ზარალი ადმინისტრაციული წესით შინაგან საქმეთა სამინისტროს სახსრებიდან დაფარა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველ თავადს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ხელისუფლებაში ყველაზე მაღალ ეშელონებშიც კი. მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემის აღიარების ნაცვლად, მას 31 მაისს გენერალ-მაიორობა უბოძეს.

„მისი არც მოსყიდვა შეიძლება და არც შეშინება“, – აღნიშნავდა „ზემშჩინა“. დუბაძეს არც კომპრომისზე წასვლა შეეძლო, – „დუბაძე თავად ქმნიდა თავის სამსახურში ამინდს და მის დროს იალტაში სანიმუშო წესრიგი იყო დამყარებული“.

ასეთი სიტუაცია, რა თქმა უნდა, არ აწყობდა არც რევოლუციონერებს და არც ლიბერალებს. ქალაქის თავის თავისუფალ საქმიანობას, მასთან იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს პირადი დამოკიდებულება განაპირობებდა.

1912 წლის ივლისში სამხედრო მინისტრის განკარგულებით მოულოდნელად გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. როგორც ჩანს, დუბაძის დროებითი წარუმატებლობის მიზეზი გ. ე. რასპუტინთან იყო დაკავშირებული. დუბაძე თვლიდა, რომ რასპუტინი, თავისი მოღვაწეობით სახელს უტყუებდა სამეფო ოჯახს. ამის თაობაზე მან პირადად მოახსენა ხელმწიფეს, რაზეც იმპერატორისაგან მითითება მიიღო – არ ჩარეულიყო იმ საქმეებში, რომელიც მხო-

ლოდ მეფის ოჯახს ეხებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, „გულმართალმა დუბაძემ“ მაინც დააპირა „თავიდან მოემორებინა რასპუტინი“. შედეგად, თანამდებობიდან გადააყენეს. მოგვიანებით კი იმპერატორის სურვილით კვლავ იალტაში დააბრუნეს. 1914 წლის აგვისტოში „უმნიველსო სამსახურისათვის“ დუბაძე გიორგის ლენტეხე განსაკუთრებული ნიშნით დააჯილდოვეს.

ივანე ანტონის ძე გახლდათ კავალერი მთელი რიგი რუსული და უცხოური (მათ შორის სპარსული და ბერძნული) ორდენებისა.

ი. დუბაძის პირველი მეუღლე გურიელის ქალი გახლდათ (მან შემდგომ კიდევ

არასამთავრობო ორგანიზაცია – „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულითა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიველეს ნაწილს მოკლავს ხეხავს. კრებულითა გამომცემელია აკრძალულითა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე, მსოფლიო ისტორიულ ფაქტობაზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტობით მანიფესტაციის მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამომცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულითა შიგნით შიგნით ნიგონის მალაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეჯან: 38-41-97.



რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის ბიორგი მანისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოფარა. იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქცია და გაზეთის მკითხველიც შეეცდომება ავტორის ნამდვილ ვინაობას. მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს. თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

ბიორგი მანისურაძე

საქართველო

საქართველო აღმოვაჩინა!

დასასრული. დასაწყისი №11-20

უოლტერ რაილის თანამშრომელთა მონაყოლს, თითქოს რაილი ყოველ კვირას უღელტეხილზე ქორების სახანაგად აღიარებდა, ვერ გავიზიარებდი. უოლტერ რაილი დაზვერვის ოფიცერი იყო, მეტად მნიშვნელოვან, საგანგებო მისიას ასრულებდა საქართველოში. ჩვენს საქმიანობაში ემოციებსა და ფლორა-ფაუნით ტკობას ადგილი არ აქვს. რაილი ბოლო სამი თვის მანძილზე იმიტომ აღიარებდა ყოველ კვირა დილას უღელტეხილზე, რომ რაღაც ინფორმაციას ფლობდა. რა უნდა ეძებნა რუსეთისკენ მიმავალ საქართველოს სამხედრო გზაზე სპეციალურ აგენტს? — რა თქმა უნდა, სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ნარკოტიკები გადაჰქონდათ. უეჭველია, რომ ჩვენთვის უცნობი საინფორმაციო წყაროსგან მან იცოდა მხოლოდ ნარკოტიკების გადატანის დღე — კვირა, და არა რიცხვი, შესაძლოა, მანქანის მარკაც იცოდა. ამიტომაც ადიოდა ყოველ კვირა დღეს დილით უღელტეხილზე და ამის ნამდვილ მიზეზს საკუთარ თანამშრომლებს უნდობლობის გამო არ უხმელდა. გულისამაჩუყებელი, მაგრამ არადაზვერებელი იყო კენტუპური ვისკით „უილიდ ტერკი“ უოლტერ რაილის სხოვნის აღნიშვნა. სპეციაგენტის დოსიეს მიხედვით, უოლტერ რაილი მხოლოდ მოტილანდიურ ვისკის — „ფაიფერს“ სვამდა და ისიც ძალზე ამოვიტყდა. ქართველმა თანამშრომლებმა კი იფიქრეს, რომ კენტუპიმი დაბადებული კაცი კენტუპური ვისკის უნდა სვამდეს. ასე რომ, უოლტერ რაილის თანამშრომელთა სამეფო სიმართლეს რომ არ ამოვხდებოდა, ეს იმთავითვე ნათელი გახდა ჩემთვის.

რა, რომ უღელტეხილიდან დაბრუნების დღესვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს და ჩემზე სათვალთვალოდ დამუშავეს ჩემი თარჯიმანი არჩილ კამარაული. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეზე თვალთვალის დანერგვა ვერაფერს ვაბედავდა მინისტრის ბრძანების გარეშე. ჩემდა საბედნიეროდ, არჩილ კამარაული ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნება გამოდგა.

მწყემსებთან შეხვედრამაც ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. „აპაჩის“ ტიპის ვერტმფრენი დროის იმ მონაკვეთში გამოჩნდა და მიტოვებულ ქვის სამტეხსპორტო საშუალება, როცა უოლტერ რაილი დაიღუპა, ხოლო დამწვარმა „ფორდ ტრანზიტმა“ და მდინარეში ნაპოვნმა ჰეროინით სავსე თუნუქის ქილამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ყოველივე ეს კავშირში იყო სპეციაგენტის დაღუპვასთან. „ფორდ ტრანზიტში“ სწორედ ის სატრანსპორტო საშუალება იყო, რომელზეც რაილის ინფორმაცია ჰქონდა და ყოველ კვირა დღეს ელოდებოდა.

ვერტმფრენი საგანგებო ვითარების გამო გამოჩნდა უღელტეხილზე. ასეთი ვითარება კი მანქანის ავარი იყო. ვერტმფრენს „ფორდ ტრანზიტის“ ტვირთისა და მანქანაში მსხდომების ევაკუაცია უნდა მოეხდინა. ვინაიდან მანქანის ვარდნისას ტომატის ქილები მიმოიფანტა, აგროვებდნენ და ამიტომაც შეყოვნდა ქვის სამტეხსპორტო ერთ საათზე მეტ ხანს. სწორედ ის ერთადერთი ქილა ვიპოვე, რომელიც გამოჩნდა, თუმცა საბოლოოდ მაინც გააკვევდნენ, რომ პარტიას ერთი ქილა აკლდა.

გადამწვარი „ფორდ ტრანზიტის“ ძარისა და ძრავის ნომრები ლეპტოპით გადავაკომპიუტერულე. მანქანა ერთ-ერთი აღმოჩნდა იმ პარტიიდან, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასულ წელს გერმანიაში უშუალოდ „ფორდის“ ქარხანას დაუკვეთა; „აპაჩის“ ტიპის ვერტმფრენიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი აღმოჩნდა.

მეორე დღესვე უოლტერ რაილის ტრაგიკული დაღუპვის ოფიციალური ვერსიის ადგილზე ავედი არჩილ კამარაულით ერთად და სპეციაგენტის ვარდნის სიმაღლე გავზომე, რომელმაც ორმოცდახუთი მეტრი შეადგინა. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ რაილი ამ ადგილზე არ დაღუპულა. ის რომ ორმოცდახუთი მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილიყო, მაიორი სავანელი მის გვამს ჯალაბზრის მემკვიდრე ვერ ამოიტანდა, ვინაიდან „ლენდ როვერის“ ჯალაბზრზე დახვეული



გვარლის სიგრძე მხოლოდ ოცდაათ მეტრს შეადგენს. აქედან გამომდინარე, რაილის სამივე თანამშრომელი ტყუოდა და რახან ყველა ოფიციალურ დოკუმენტში დააფიქსირეს, რომ იმ დილით სპეციაგენტთან მათ გარდა არავინ იყო, ესე იგი, სწორედ ისინი იყვნენ მკვლელობის განმახორციელებლები, თუმცა უოლტერ რაილის ლიკვიდაციას ეს სამეფო საკუთარი ინიციატივით ვერ გაბედავდა და მხოლოდ მათ შეეძლოთ იმ პირის დასახელება ვინც ეს ბრძანება გასცა. საამისოდ ერთ-ერთი მათგანი მაინც უნდა ჩამეგდო ხელი და რახან არჩილ კამარაულის მეშვეობით შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩემი ყოველი ნაბიჯის შესახებ იცოდა, მათი პროვოცირების საშუალება მქონდა. მინისტრმა ხომ ძალზე კარგად იცოდა, რომ ნარკოტიკების პარტიიდან ერთი ქილა დაკარგული იყო და ხომ შეიძლებოდა არ გაუმეპოვა? ასეთ შემთხვევითობას კი ისინი არ დაუშვებდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ლიკვიდაცია ან აყვანა იმავე სამეფოს დაეკისრებოდა, თანაც იდეალურ პირობებში — მიტოვებულ ქვის სამტეხსპორტო. ასეთ შემთხვევას ისინი ხელიდან არ გაუშვებდნენ და ასეც მოხდა. დანარჩენი შენთვის ცნობილია... ახლა კი შენი ჯერია, დიკ, — მიმართა ცოტა ხნის შემდეგ სიდნი როჯერსმა, — რაო, მაიორმა სავანელმა?

სავანელი მაგარი ბიჭი გამოდგა, უკეთესს ვერც ვინატრებდი. როგორც კი განვუმარტეთ, რომ ბრალდების მოწმის სტატუსს მივანიჭებდით და, აქედან გამომდინარე, დაცვის ფედერალური პროგრამის განხორციელება შეგვეძლო მის მიმართ, იმავე წამს დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე.

როგორც სავანელმა გვითხრა, უოლტერ რაილის უღელტეხილზე ყოველკვირულად ასვლამ ისინი, რა თქმა უნდა, დააეჭვა, ვინაიდან სწორედ მაიორი სავანელი, ალბერტ მაისაშვილი და ნიკა შაბურია უზრუნველყოფდნენ ამ ნარკოტრასის უსაფრთხოებას. სავანელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რაილიმ რაღაც იცოდა, მაგრამ, კონკრეტულად, რა, ამას მოვ-

დაახლოებით ერთი საათს მოუწინა, და ვერტმფრენი გაფრინდა. სავანელი მინისტრს დაუკავშირდა და „ფორდ ტრანზიტის“ გადაწვის ბრძანება მიიღო.

სიდ, მაიორ სავანელის სახით მეტად ძლიერი და სასტიკი მოწინააღმდეგე გყავდა. შენი ლიკვიდაცია პირადად იპოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კუთვნილ „ლენდ როვერს“, გამოჩნდებოდნენ „მონტე-ბი“, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ გადმოსვს და უღელტეხილზე შეიარაღებულმა პირებმა უცხოელი მანქანიდან და მთებისკენ წაიყვანეს. საქართველოს მასმედიაში დაუყოვნებლივ ატყდებოდა მძლავრი კამპანია, ყველაფერი დაბრალდებოდა ჩვენებს, ვაპატივებს და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, შენი თვითნებობა რომ ასე წარმატებით არ დამთავრებულიყო, ბევრი თავსატეხი გაგვიჩნდებოდა. მაღლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე დასრულდა.

— მაღლობა არჩილ კამარაულს! — თქვა სიდნი როჯერსმა.

— ჰო, მართალი ხარ. შენი მოსაზრება გათვალისწინებდა არჩილ კამარაულისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის სტატუსის მინიჭების საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი. იგი რეაბილიტაციის ცენტრიდან ამერიკის მოქალაქედ გაენიშნება. თუ უნდა, თავის ქვეყანაში დაბრუნდეს.

— მერედა უსაფრთხო იქნება მისთვის სამშობლოში დაბრუნება?

— რასაკვირველია, სიდ. შენ ჯერ ხომ არ იცი, მაიორმა

სავანელმა რა სიურპრიზი ჩამოგვიტანა? ამ საქმესთან დაკავშირებით სავანელი მინისტრის ყველა ბრძანებას ინერგა იპაზონურ მაჯის საათში მოთავსებული ციფრული ჩამწერი. როგორც თვითონ განაცხადა, ეს იყო ერთადერთი გარანტია მისი გადარჩენისა და სწორად გათვალა, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში შემდგომის ბრძანებების შემსრულებელია. მაჯის საათი პირველსავე დაკითხვაზე გადმოგვცა. ერთი სიტყვით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი მთლიანად „ჩაგვაბარა“. ჩვენი ბებერი ლომი ჯეფრი ჯელტრი დაუყოვნებლივ კონფიდენციალურად შეხვდა საელჩოში მინისტრს, ჩანაწერი მოასმენინა, ჩვენს ხელთ არსებული მისი ბრალდებების დამადასტურებელი ყველა არგუმენტი წარუდგინა და მინისტრი ორმაგ აგენტობაზე, ანუ ჩვენთან თანამშრომლობაზე დაითანხმა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი მეტად სანიშნავი რეაბილიტაციას უწყობდა.

— როგორ ფიქრობ, დიკ, რამ აიძულა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი, პრაქტიკულად, ქვეყნის მთელი პირი, ამ ბიჭს და სახიფათო თამაშში ჩართულიყო?

— ფულმა, დიდმა ფულმა, რომელიც მას და მის პრეზიდენტს სჭირდებოდათ მაშინ, როცა ორივენი პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები იყვნენ, ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნიდნენ და დღედაღამ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე ფიქრობდნენ. საქართველოში კი ყოველისმომცველი კორუფციის პირობებში ამის მიღწევა მხოლოდ ფულით იყო შესაძლებელი. ფული სჭირდებოდათ, უპირველესად, მასმედიის



შიზოფრენიის საიდუმლოებაში ამოსხნილია

მნიშვნელოვანი აღმოჩენის წყალობით, შიზოფრენიისა და ბიპოლარული აფექტური აშლილობის სამკურნალოდ ახალი მეთოდები გაჩნდება. აღმოჩნდა, რომ ეს ორი დაავადება ერთი და იგივე გენეტიკური დეფექტის საფუძველზე ვითარდება. მით უმეტეს, რომ ტრადიციული ფსიქიატრია შიზოფრენიასა და ბიპოლარულ აფექტურ აშლილობას ორ სხვადასხვა დაავადებად მიიჩნევს.



დაახლოებით 15 000 დაავადებულ და 50 000 ჯანმრთელ ადამიანზე დაკვირვებით მეცნიერთა სამი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ჯგუფი შიზოფრენიის გენეტიკურად განპირობების ვერსიას განიხილავდა.

შედეგად აღმოჩნდა, რომ დაავადების გაჩენის რისკი დამოკიდებულია ათასობით მიზერულ გენეტიკურ მუტაციაზე (SNP) — ერთეულ ნოდებულ ერთეულს მემორტიკურ პოლიმორფიზმზე. თითოეული მუტაცია შიზოფრენიის რისკს დაახლოებით 0,02%-ით ზრდის, მაგრამ დაავადებულთა დაახლოებით მესამედს მუტაცია აღნიშნება.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ SNP-ის ზუსტად ერთნაირი ნაკრები დაკავშირებული როგორც შიზოფრენიას-

თან, ასევე ბიპოლარულ აფექტურ აშლილობასთან (იგივე მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი). „შესაძლოა, ორივე მოშლილობას ტვინის განვითარების ერთი და იგივე დეფექტი იწვევს, მაგრამ მთავარი კითხვა ისაა, თუ რატომ უვითარდება ზოგს შიზოფრენია და ზოგს ბიპოლარული აშლილობა“, — განაცხადა აშშ ფსიქიური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა ტომას ინზელმა, რომელიც ნაწილობრივ აფინანსებდა აღნიშნულ კვლევებს.

შიზოფრენიის თანმდევი გენების ზოგიერთი ვარიანტი, როგორც ჩანს, გენომის იმ ნაწილში ლოკალიზდება, რომელიც იმუნურ სისტემას აკონტროლებს. შესაძლოა,

სწორედ ეს იყოს იმის ასხნა, რომ შიზოფრენიით უფრო ხშირად ზამთარში და გაზაფხულზე დაბადებული ახალშობილები ან იხინი, ვისი დედაც ორსულობისას გრიპით იყო ავად. ასევე, გამოვლინდა კავშირი შიზოფრენიასა და დნმ-ის ვარიაციებს შორის იმ გენებში, რომლებიც თავის ტვინის ნერვული უჯრედების ზრდასა და ტვინის

უჯრედებს შორის სიგნალის გადაცემისათვის აუცილებელი ცილის ფორმირებაზე პასუხისმგებელი. ადრე თუ გვიან შიზოფრენიით ყველა მესამე ადამიანი ავადდება და მათი მკურნალობა ბრიტანელ გადასახადების გადამხდელს წელიწადში დაახლოებით 2 მილიარდი ფუნტი უჯდებათ.

Independent

რატომ უჩნდებათ მდიდარ დედებს ბიჭები, ღარიბებს კი — გოგონები?

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა შეძლეს დედის კეთილდღეობის ხარისხსა და მისი შთამომავლის სქესს შორის დამოკიდებულება დაედგინათ: შეძლებულ ქალბატონებს უფრო ხშირად ვაჟი უჩნდებათ, თანაც, რაც უფრო უარესია ცხოვრების საერთო პირობები მოცემულ საზოგადოებაში, მით უფრო ძლიერია აღნიშნული კორელაცია.

კვლევას საფუძველად დაედო მონაცემთა ბაზა, რომელშიც 95 ათასი რუანდელი დედის შესახებ იყო ინფორმაცია.

ეკოლუციური თეორიის თანახმად, ცხოვრების კარგი პირობების შემთხვევაში ქალს მეტი შანსი აქვს, რომ თავისი ვაჟის საშუალებით საკუთარი გენი მომავალ თაობას გადასცეს, ვინაიდან ასეთ პირობებში დაბადებული ვაჟი ჯანმრთელი იქნება და გადარჩენისათვის ბრძოლაშიც გამარჯვდება. თუ მატერიალური მდგომარეობა, მაინცდამაინც, სახარბიელო არ არის, მაშინ ქალისთვის, ბუნებრივი გადარჩევის თვალსაზრისით, გაცილებით მომგებიანია, გააჩინოს გოგო, რომელსაც თავისთავად მსგავსებთან შეჯიბრი არ მოუწევს.



Daily Mail

ვალენსა მადონას წინააღმდეგ — «სატანისტური პროპოკანსიები»

15 აგვისტოს ვარშავაში Sticky&Sweet Tour-ად წოდებული მსოფლიო ტურნეს ფარგლებში პოპვარსკვლავ მადონას კონცერტი დაგეგმილი, მაგრამ რამდენიმე ულტრაკათოლიკურმა გაერთიანებამ ამ კონცერტის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო, რადგან ამ დღეს, 15 აგვისტოს, კათოლიკეები ქალწული მარიამის ამაღლებას აღნიშნავენ.



ამ მოძრაობას შეუერთდა ლეჰ ვალენსაც, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, პიკეტაჟის საყვარელი „შავ მადონად“ წოდებულ ჩენსტოხოვსკის ღვთისმშობლის მუქ გამოსახულებას არ იშორებს. სწორედ იმ დღისათვის მადონას კონცერტის ორგანიზებას, როდესაც კათოლიკეები ჩენსტოხოვსკის ღვთისმშობლის სასწაულ-

მოქმედი ხატის მოსალოცად „იასნუ გურუსკენ“ მიემართებიან, ნობელის პრემიის ლაურეატმა „სატანისტური პროპოკანსიები“ უწოდა. ამასთანავე, ლეჰ ვალენსამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად წარსული პროვოკაციებისა („ჯვარცმის სცენა“ რომში, Olimpic-ის სტადიონზე), მას მადონას საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

პოლონელთა უმრავლესობა რწმენისა და ეროვნული ტრადიციების დამცავი კომიტეტისა და კონსერვატიზმის საყრდენი „რადიო მარიას“ განცხადებების ტონსა და პოზიციას, მაინცდამაინც, არ იზიარებს: ვარშავაში, ბემობოს აეროდრომის მოედანზე 20 000-ზე მეტ მაყურებელს ელიან.

კონცერტის მოწინააღმდეგეები კი იმუქრებიან, რომ, თუ 15 აგვისტოს ღონისძიებას ოფიციალური მეთოდებით ვერ ჩააშლიან, მასიურ გამოსვლას მოაწყობენ და ლოცვით შეეცდებიან მადონას ხმის გადაფარვას.

Corriere della Sera

13 საათი ოკეანეში

მოკრძალებული პარიზელი მოსწავლე, რომელიც ავიაკატასტროფას სასწაულებრივად გადაურჩა, ამბობს, რომ 13 საათზე მეტ ხანს ებლაუჭებოდა თვითმფრინავის ნამსხვრევებს ინდოეთის ოკეანეში.



ავიაკომპანია Yemenia Airlines-ის თვითმფრინავი Airbus A310 კომორის კუნძულების რაიონში აეროპორტთან მიახლოებისას ოკეანეში ჩავარდა და ბორტზე მყოფი 153 მგზავრიდან ერთ-ერთმა გადარჩენილია — 13 წლის ბაჰა ბაკარმა მხოლოდ ტრამპები მიიღო.

„დავიხახეთ, რომ თვითმფრინავი წყალში ჩავარდა, წყალში აღმოვჩნდი. ადამიანების ხმები მესმოდა, მაგრამ ვერავის ვხედავდი, ბნელოდა. მამა, ცურვა არ ვიცი და რაღაცას ჩავეჭიდე, არ ვიცი, რა იყო“, — უამბობს მამას — კასიმ ბაკარს სასწაულებრივად გადარ-

ჩენილი ბაჰა. თავად კასიმი შვილს ძალიან სუსტად ნაზ ადამიანად ახასიათებს და მის გადარჩენას „უფლის ნებად“ მიიჩნევს.

The Times

კასპაროვი-კარპოვი 25 წლის წინათ შეწყვეტილი ორთახროლა ბრძოლა

58 წლის კარპოვმა და 46 წლის კასპაროვმა მოილაპარაკეს, რომ კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს ორთახროლაში. 25 წლის წინათ ჭადრაკის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, სექტემბერში კი ორი უდიდესი მოჭადრაკე თამაშების სერიას სწორედ უძლიერესი გამოსავლენად გამოსათავს.



25 წლის წინათ მატჩი ყველაზე დელიკატურ მომენტში შეწყდა. ორთახროლა ხუთ თვეს გრძელდებოდა. 48 ნათამაშები პარტიდან 40 ფრედ დასრულდა. იმ დროისათვის გამარჯვებასთან უფრო ახლოს უნიჭიერესი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა გარი კასპაროვი გახლდათ, მაგრამ 1985 წლის 25 თებერვალს კრემლმა მატჩის შეწყვეტის ბრძანება გასცა და გამარჯვებულად კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს ფავორიტი, „ცივისისხლიანი მკვლელი“ (ასე მას საკუთარი მწვრთნელი ნიკიტინი უწოდებდა) ანატოლი კარპოვი გამოცხადდა.

ამ გადანყვეტილების მიღება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ორგანიზაციის იმდროინდელ პრეზიდენტს კამპომანესს დაბრალდა, მაგრამ ყველას ესმოდა, რომ სინამდვილეში კარპოვი საბჭოთა რეჟიმის ჩემპიონი იყო, კასპაროვი კი — ახალგაზრდა მემბოხე, რომელიც რკინისებურ პარტიულ დისციპლინას საერთოდ არ აღიარებდა. დაუსრულებელმა ორთახროლამ ჭადრაკის სამყარო ორად გახსლია. დავა, იმის შესახებ, თუ ვინ იყო სინამდვილეში უძლიერესი, მუდმივი განხეთქილებისა და კამათის საგნად იქცა.

და აი, როგორც იქნა, 21-დან 24 სექტემბრამდე გამართული 12 თამაში პასუხს გასცემს 25 წლის კითხვას — ვინაა ნამდვილი ჩემპიონი? შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში კარპოვი ოფიციალურ ჩემპიონატებზე იშვიათად გამოდის და მსოფლიო კლასიფიკაციაში მისი რეიტინგი 98-მდე დაეცა. რაც შეეხება პუტინის ამჟამინდელი ოპოზიციონერი გარი კასპაროვს, 2005 წელს მან განაცხადა, რომ ამთავრებს სპორტულ კარიერას და სერიოზულად მოჰკიდებს ხელს პოლიტიკას.

La Repubblica

კალა თალიგაის ბოები გადაყვანა



ამრიკელ ტობის ავღანეთში საოცრება შეემთხვა — მან თალიგაის იმპროვიზირებული ასაფეთქებელი მოწყობილობა შეჭამა. ძალი სასწრაფო დახმარების ვერტმფრენმა კემპ-ბასტიონის ბაზაზე გადაიყვანა. გზაში ტობის კაპიტანი მეთ კლარკი ჟანგბადს საბავშვო სასუნთქი ნიღბით აწვდიდა. „ავადმყოფს“ საჭმლის მომწოდებელ სისტემაში შხამის ნეიტრალიზებისათვის ნახშირიც დააღვინეს და სხვა აუცილებელი ნამდვილი. 24 საათის შემდეგ ძალი თავს ნორმალურად გრძობდა — დამოუკიდებლად ჭამდა და სვამდა.

Daily Mail

მუდვივი დიეტა სისოსსლეს ახანგრძლივებს

ნორმალური წონის ადამიანებმაც კი ნაკლები უნდა ჭამონ! — დაასკვნეს აშშ ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ დაბალკალორიულ დიეტაზე მყოფ მაიმუნებში სიბერესთან დაკავშირებული დაავადებების — კიბოს, გულსისხლძარღვთა დაავადებთა და დიაბეტის რისკი ორი მესამედით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი კვებისას.



ცხოველების ტვინის სკანირებამ აჩვენა, რომ მაიმუნების, რომლებიც ნაკლებ კალორიებს გამოიყენებენ, ტვინის რუხი ნივთიერების უჯრედები გაცილებით ნაკლებად განიცდიან ატროფიას. უფრო მეტიც, ისინი სიბერეშიც ნაკლებად დაუძღვრდნენ და ნაოჭებიც საგრძნობლად მცირე რაოდენობით გაუჩნდათ.

ნული კალორიები სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების უტყუარი საშუალებაა, — განაცხადა ტაფტის ინსტიტუტის ადამიანის რაციონისა და დაბერების კვლევის ცენტრის თანამშრომელმა სიუზენ რობერტსმა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ კვლევაში არ მონაწილეობდა, — რაც შეიძლება ნაკლები ავადმყოფობა სიბერეში — ეს სწორედ ისაა, რისკვანაც ყველა მიისწრაფის“.

შეზღუდვა ყველასთვის სასარგებლოა. მან გამოიკვლია ადამიანები, რომლებიც ექვსნახევარი წლის განმავლობაში იცავდნენ დაბალკალორიულ დიეტას და შედეგად დაასკვნა, რომ თითოეული მათგანის გული მათზე 16 წლით ახალგაზრდა ადამიანის გულივით მუშაობდა.

საერთო ჯამში, ნაკლებკალორიულად მკვებავი მაიმუნები ბიოლოგიურად ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, ვიდრე ნორმალურად მკვებავი მათი თანატოლები.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მედიცინის პროფესორი ლუიჯი ფონტანა, თავის მხრივ, ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს და ამბობს, რომ „კალორიების

დღეიკალორიების თვლის პრინციპს ეფუძნება. კალორიების საჭირო რაოდენობა კონკრეტული ადამიანის ნორმალური წონის შენარჩუნებისათვის ითვლება და შემდეგ 10-30%-ით მცირდება.

მაშვეს დიეტაზე მყოფი ადამიანები დღეში სამჯერ იკვებებიან. მათი საუზმე ხილისა და ნივრის ფაფისგან შედგება, სადილი ბოსტნეულის დიდი ულუფაა, ვახშამი კი — ხორცი. ხანდახან მსუბუქი ნახევრებსა და პირსუბუქებსაც კი დასაშვებია.

„ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ორგა-

ბრიტანელი დიპლომატი რუსი მექავების გამო გადადგა

ბრიტანელი დიპლომატი ცივი ომის-დროინდელ კლასიკურ მახეში გაეხა: კამერამ ის ორ რუს მექავთან ერთად სექსის დროს დააფიქსირა.



კადრი სპანდალური ვიდეორეგისტრირდა

საუბარია ჯეიმს ჰადსონზე, რომელიც ბოლო დრომდე ეკატერინბურგში დიდი ბრიტანეთის გენერალური კონსულის მოადგილე გახლდა. ამ „უბედური შემთხვევის“ შემდეგ კი იძულებულია, გადადგეს.

ლახდელ სექსუალურ სცენებს შეიცავს ჯემსის სათვალისანი მამაკაცისა და ორი ქერთაიანი ქალის მონაწილეობით.

ვიდეორეგისტრირებული სცენებიც კი განთავსდა. ახალი ამბების ერთ-ერთ რუსულ საიტზე კი ამ ვიდეორეგისტრირების ინტერნეტმისამართი დევს. თავად ვიდეო საკმაოდ გუ-

ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში თვლიან, რომ ეკატერინბურგის ერთ-ერთ ბორდელში ეს სცენები ჰადსონის შანტაჟის ან, კიდევ უარესი, ბრიტანეთის დასამცირებლად გადაღებული.

The Times

ბრიტანეთის ხელისუფლებამ კონტრტერორისტული უნარიან ექს-ხელმძღვანელის წიგნი აკრძალა

დიდი ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა ლედი სკოტლენდმა კონტრტერორისტული უწყების ექს-ხელმძღვანელის ენდი ჰიგინის წიგნი აკრძალა.


წიგნი („ტერორისტებზე მონადირეები“) აღწერილია ლონდონის 7 ივლისის ტერაქტების, ალექსანდრე ლიტვინენკოს, ჟან-შარლ დე მენეზესის საქმეებისა და სხვა განხილული ფაქტების დეტალები.

ლის სამართლის რომელიმე საქმის ჯერ კიდევ დაუსრულებელ გამოძიებას უკავშირდება. ლონდონის პოლიციის კომისარმა სერ პოლ სტივენსონმა დაიხილა, რომ აღნიშნული წიგნი წინასწარ არ აჩვენებს და ნამოყენა იდეა, პოლიციის მაღალჩინოსანთა მიერ დანერგილი მსგავსი წიგნების გამოცემის აკრძალვის შესახებ.

The Guardian

ჰინდუსთა თავეს აუბ კეზიფინების საიბს?

რასაკვირველია, საუბარია ჰინდუსთა თავესა და მისი მსხვერპლიც 4 ივლისს, დამოუკიდებლობის დღეს, აშშ ხელისუფლების არაერთი საიტი გახდა.



DDoS-ის (Distributor Denial of Service) ტიპის შეტევა იყო, რომლის დროსაც საიტები დავირუსებული კომპიუტერებისგან იმდენად მასობრივად იღებს მონაცემებსა და მოთხოვნებს, რომ ვეღარ ახერხებს ფუნქციონირებას.

ვირუსმა დროებით შეაჩერა თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, ნიუ-იორკის ბირჟის და სხვა — სულ 14 ძირითადი სახელისუფლო საიტის ფუნქციონირება. მათ შორის იყო საიდუმლო სამსახურის Secret Service-ის საიტიც, სამსახურისა, რომელიც თავად პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაცვაზე პასუხისმგებელია. შეტევის შედეგების ლიკვიდაციას სამი დღე დასჭირდა, შეტევის დონის გამო კი მას უცხოური სპეცსამსახურების მიზანმიმართულ ქმედებად აფასებენ.

აზღაურს გახდა სულში ატეხილი აურზაურის მიზეზი. იქ შეტევის სამიზნეები სამინისტროებისა და ბანკების საიტები იყო. მაისში სამხრეთ კორეის მასმედია იუნყებოდა, რომ ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურ რეჟიმს აქვს სპეციალური განყოფილება, რომლის მთავარი ამოცანა კიბერომების წარმოება, ამერიკულ და სამხრეთკორეულ სამხედრო ქსელებში ჩინური კომპიუტერების გავლით შეღწევაა. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე არ არსებობდა მტკიცებულებები, რომ უკანასკნელი შეტევის ავტორი სწორედ ჩრდილოეთ კორეა იყო.

Die Welt

ჰუსეინს შეერთებულ შტატებთან მეგობრობა სურდა

ამერიკული შეჭრის მოახლოებისას სადამ ჰუსეინი მეზობელი ირანის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო წუხდა და თუ გაერო თავის სანქციებს მოხსნიდა, შტატებთან უსაფრთხოების ხელშეკრულებასაც გააფორმებდა. ამის შესახებ სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე ერაყის ლიდერმა თავად აუნყა გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელს ციხის კამერაში შეხვედრისას.



არაფორმალური შეხვედრებისა და ოცამდე დაკითხვის დროს სადამ ჰუსეინმა გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებს უთხრა, რომ გაეროს სამხედრო ინსპექტორების შესვლას ერაყში კონკრეტული მიზეზის გამო ეწინააღმდეგებოდა: შიშობდა, რომ ისინი ერაყის საბრძოლო მოუზადებლობის შესახებ ინფორმაციას მის მთავარ მტერს — ირანს მიანვდიდნენ.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშში, რომელიც ახლახან ეროვნული უსაფრთხოების არქივებს ჩაბარდა, სწორედ ეს და სხვა დეტალებია მოყვანილი ერაყის ყოფილი ლიდერისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალური აგენტის ჯორჯ პირის 2004 წლის თებერვალი-ივნისის შეხვედრებიდან. სადამი ირანზე წუხდა, რომ ირანის მიერ ერაყის სამხრეთით მდებარე მიიტურტი ტერიტორიის დიდი ნაწილის ანექსირების საფრთხეს გრძნობდა და თვლიდა, რომ ყველაზე მეტი საფრთხე სწორედ ირანის მხრიდანაა მოსალოდნელი.

2004 წლის 11 ივნისის დაკითხვის ოქმში წერია: „ჰუსეინი ირანზე წუხდა, რომ ირანის მიერ ერაყის სისუსტის აღმოჩენის საფრთხე უფრო ადარდებდა, ვიდრე აშშ რეაქცია ერაყში გაეროს ინსპექტორთა დაბრუნებაზე უარის თქმის გამო“.

ფორმებისთვის იზრუნებდა. პირობათანხმა, რომ ამგვარი ხელშეკრულება ერაყისათვის მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ აშშ მსგავს შეთანხმებზე დაუყოვნებლივ არ დათანხმდებოდა. სადამმა უთხრა პირს, რომ ირანის წინააღმდეგ თავის მოკავშირე შტატებთან ბევრად უფრო მეგობრული ურთიერთობა სურდა, მაგრამ ამერიკას „არ ესმოდა, რას ამბობდა ერაყი“.

The Guardian



მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნა, რომელშიც ასახულია თერაპიის მეთოდები და ტექნოლოგიები იმ შემთხვევისთვის, თუ ამერიკულ ქალაქში ხელნაკეთი ბირთვული ბომბი აფეთქდება.

მზად ხართ ხელნაკეთი ბირთვული ბომბის აფეთქებისთვის?

მსგავსი მოწყობილობა ასობით ათას ადამიანს შეიწირავდა, მაგრამ ამ კატასტროფული შედეგების მოსალოდნელი ნარჩენების მიუხედავად, მას მთელი ქალაქის განადგურება არ ძალუძს, დროული რეაქცია კი მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შანსს იძლევა. რადიოაქტიური ნარჩენების გაჩენის რუკის შედგენისა და რადიაციის მსხვერპლთა მკურნალობის

ახალი ტექნოლოგიები დაზარალებულების გადარჩენის შანსს ზრდის. „ადამიანურ დანაკარგებს, რა თქმა უნდა, ვერ გადავურჩებით, მაგრამ არც უიმედო მდგომარეობაა“, — ირანზე წუხდა მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის მიერ მსგავსი შემთხვევების შესახებ მზადყოფნის შესაფასებლად მოწვეული ექიმებისა და ჯანდაცვის ორგანოების თანამშრომელთა

კომისიის თავმჯდომარე ჯორჯ ბენჟამინი. კომისიამ 10 000 ტონა ტროტლის ეკვივალენტური ბირთვული აფეთქების შესაძლო შედეგები გამოიკვლია. ამგვარი აფეთქება მინათან გაასწორებდა შენობებს და ერთი კილომეტრის რადიუსში სიცოცხლის ყველანაირ კვალს მოსპობდა. მეცნიერებმა ამ ზონას ამიტომაც აუარეს გვერდი და ყურადღება გაამახვილეს მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობაზე, რომლისთვისაც ძირითად საფრთხეს

რადიაციული ნარჩენები წარმოადგენს. მსგავსი სიტუაციაში ხალხისთვის გაცილებით უსაფრთხო იქნება, თავშესაფარი სახლებსა და მინის ქვეშა სარდაფებში ეძებოს, ვიდრე შემთხვევის ადგილიდან გასაქცევად მანქანებით გადაჭყებულ გზებზე გამაგამოსხვიებისგან აბსოლუტურად დაუცველმა იხეტილოს. მეცნიერთა აზრით, სწორედ ესაა ის უმთავრესი, რის შესახებაც მოსახლეობა წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

New Scientist

„საქართველო და მსოფლიოს“ ორი თანაგზირობელი „ოქროს ფრთით“ დაჯილდოვან

„ოქროს ფრთა“ — ქართული მასმედიის წარმომადგენელთა „ოსკარი“, უკვე მეათედ გადაცათ ცნობილ ჟურნალისტებს, საზოგადო მოღვაწეებსა და ხელოვნების მუშაკებს. ეს პრესტიჟული ჯილდო 2002 წელს ქალბატონმა ეთერ ჯიშკარიანიმ დააარსა და მისი მფლობელი უკვე 100-ზე მეტი გამოჩენილი პიროვნებაა. „ოქროს ფრთის“ წლებულს ახალი დამფუძნებელი შეემატა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, ქალბატონი თაკო ჩარკვიანის სახით. რუსთაველის თეატრში გამართულ საზეიმო ცერემონიასაც სწორედ ის უძღვევოდა.

დარბაზში ტევა არ არის, ხალხი ფეხზე დგას. დაჯილდოვებას უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრება. სიამაყით მიიღია, აღვნიშნო, რომ 10 ლაურეატიდან 2 ჩვენი რედაქციის თანამშრომელია და გულისფანცქალით ველი, როდის გამოაცხადებენ მათ გვარებს...

ცერემონია გრძელდება... ქალბატონი თაკო შემდეგ ნომინანტს ასახელებს: ეკატერინე მაიერიან-მიქაძე — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანის პამიტიურ სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ქუვეითსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში.

დამსწრე საზოგადოება მქუხარე ოვაციებით შეხვდა ქართული ხელოვნების ისეთი პოპულარული წარმომადგენლების დაჯილდოვებას, როგორებიც არიან სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი რეზო ჩხვიძე და საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა სახალხო არტისტი (39 წლის ასაკში მიენიჭა), კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი დიმა ჯაიანი. „ოქროს ფრთის“ ლაურეატი გახდნენ, აგრეთვე, ამერიკელი ჟურნალისტი ვლადიმერ ვიანი, ტელეკომპანია „მედიასივრს“ ხელმძღვანელი მამუკა ლლორსი და ყველაზე ახალგაზრდა ცნობილი „უცხო“ გიორგი გაჩეჩილაძე. სცენაზე გამოდის პატარა ვირტუოზი პიანისტი ირმა ვიკანი, რომლის სამეგრეო-ლელო ოსტატობაც მსმე-



არამ სანაბლიყა



გიორგი მამაცაშვილი

ნელთა აღფრთოვანებას იწვევს. ეს უნიჭიერესი გოგონა ცნობილი პოეტისა და „ოქროს ფრთის“ ლაურეატის, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილია... ბედნიერი ბაბუა მეორე რიგში ზის და სხვებთან ერთად ტკბება ირმას შემოქმედებით. ბატონ ჯანსუღს „ოქროს ფრთა“ გულზე აქვს დაბნეული და ჯილდოთი ამაყობს.

დადგა ამაღელვებელი მომენტი... თაკო ჩარკვიანმა ჩვენი რედაქციის თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი არამ სანაბლიძე მიიწვია სცენაზე. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს კოლეგასა და მეგობარს დარბაზი განსაკუთრებული ოვაციებით შეხვდა.

ვაჟა-ფშაველას და კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟები ავტოინსპექტორმა სიმონიანმა სუკის დავალებით დასაჯა

კომუნისტური პარტიის ზეობის ხანაა. ნოდარ დუმბაძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ჟურნალ „ნიანგის“ მთავარ რედაქტორად კი ცეკას თანამშრომელი, ინჟინერი ენის სპეციალისტი, სუკის ყოფილი ოფიცერი ზურაბ გემუზაშვილი დანიშნეს. მის დახასიათებას არ შეუძლებელი, მხოლოდ ორი სიტყვით მოგახსენებთ: ყოვლად დადებითი პიროვნება გახლდათ. მისი თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი იყო ზვიად გამსახურდიას და თამარი. რედაქციაში ზვიადი მოვიდა პირადად ზურაბ გემუზაშვილთან შემდეგი განცხადებით:

„შურნალ „ნიანგის“ მთავარ რედაქტორს! მე, კონსტანტინე გამსახურდიას შვილი ზვიად გამსახურდიას, და ვაჟა-ფშაველას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი რუსთაველის პროსპექტზე ჩემი კუთვნილი ავტომანქანით მოვიდი. გაგვარჩერა ავტოინსპექტორმა გარეკ სიმონიანმა. მოძრაობის დროს არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. საბუთების დათვალიერების შემდეგ დაკვირვებით შემომხედა და მითხრა: „თქვენ საჭეს მძღვრებ მდგომარეობაში მართავთ, რისი უფლებაც არ გაქვთ, ამიტომ მართვის მოწმობა და ავტომანქანა უნდა ჩამოგართვათ“.

თველის გამზირზე, ვაჟა-ფშაველასა და კონსტანტინე გამსახურდიას შვილები ვიღაც სიმონიანმა უსამართლოდ და ყოვლად უკანონოდ დაგვსაჯა. გთხოვთ, შეისწავლოთ ჩემი განცხადება და საქმის ვითარება, დამიბრუნოთ საბუთები, ავტომანქანა და ყოვლად გაუმართლებელი საქციელისათვის ავტოინსპექტორი დასაჯოთ. განმცხადებელი ზვიად გამსახურდიანა“.



მ. დვინსკის ნახატი

გვირფასო მკითხველო! განცხადების შინაარსი ზუსტია, მაგრამ იმის გამო, რომ არქივში მისი დედანი ვერ აღმოვაჩინე, შევეცადე, მეხსიერებაში შემორჩენილი ტექსტი შეძლებისდაგვარად გადმომეცა. მთავარმა რედაქტორმა მიხმო, ბატონი ზვიადი ოფიციალურად გამაცნო როგორც ბატონი კონსტანტინეს ვაჟი და მისი თანაკლასელის — თამარის ძმა, შემდეგ კი დამავალა და პირადად მითხოვა, გულისყურით შემესწავლა აღნიშნული განცხადება და რაც შეიძ-

ლებს წერილობით დადასტურებინა, რომ ვითომ მძღვრებმა ზვიად გამსახურდიამ სახეში მიაყარა საბუთები ავტოინსპექტორს, გალანდა იგი და დატოვა იქაურება. უნამუსობას, არაკაცობასა და უსამართლობას, მართლაც, საზღვარი არ ჰქონდა.

ფურნალისტურმა დაინტერესებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. იმის მტკიცება, რომ წყალს მტვერი ავარდა, ჩაიშალა. ფელეტონმა მწვავე, კრიტიკული და სერიოზული სახე მიიღო. ბურუსი უნდა გაფანტულიყო, ჭეშმარიტებას ნათელი უნდა მოჰფენოდა, ვიღაც უნდა დასჯილიყო. მაგრამ ვი, რომ ის ვიღაც, თურმე, არ იყო დამნაშავე. ერთ მშვენიერ დღეს, თუკი შეიძლება ამ დღეს მშვენიერი დავარქვავთ, მთავრობის ტელეფონმა დარეკა: — სიხარულიძეს სთხოვეთ! — გისმენთ, — ვუპასუხე. — გამარჯობა, ჟანი! — ბატონი ძალზე შინაური ჩანდა. — გაგიმარჯოს! — იყო ჩემი პასუხი.

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გონდო მინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი ტექნიკური რედაქტორი ლევან ხანგაშვილი რეალიზაციის მენეჯერი ლეონი ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე, რეკლამის მენეჯერი მანა გონაშვილი (858 10 25 48) გაზეთის ხელმძღვანელებს თავისუფალი პრესის პრინციპებით. მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net